

# თავისუფლება

საპარტიზოლო განთავისუფლებიანთის მიზანძოლთა ორგანო  
საომადაძვირო კოლბიან: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

## LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 10

პარიზი

იანვარი 1976

ა ბ ა ლ ი ვ ი ლ ი

ძვირფასო თანამემამულენო! თავისუფლების ტრიბუნას პატივი აქვს, თავის არსებობის განმავლობაში, მეორედ მოგილოცოს ახალი წელი.

გასულმა წელმა როდი გავანებრივა, პირიქით:

— დავკარგეთ ბრძოლაში გამობრძანებული მრავალი მეგობარი და თანამებრძოლი, ჩვენი გამოცემის ყოველ ნომერში გულისტკივილით აღბეჭდილნი არიან მათი სახელები.

— არც საერთაშორისო არენაზე წაწეულა წინ სამართლიანობის საქმე.

— არც ჩვენს სამშობლოს ღირსებია შედავათი საბჭოთარუსეთის სულთაშუთავ არტახებიდან.

მიუხედავად ამისა, ჩვენ უიმედობა არ გვეუფლება; ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი საქმე — საქართველოს ეროვნული განთავისუფლება — გარდაუვალია. ის უეჭველად გაიმარჯვებს. მაშ, რატომ წელს არა? დღე, წელს ასრულებულიყოს ყველა ჩვენგანის სანუკვარი სურვილები:


- გვეზილოს საქართველო განთავისუფლებული!
- აღმდგარიყოს მისი თვითხელმწიფება!
- მიცემოდეს ქართველ აღამიანს თავისუფალი შრომის და შემოქმედების საშუალება!
- პატიოსანი შრომის დოვლაით ავსილიყოს საქართველო, და მისი ბუნებრივად აყვავებული მთაბარი, მისი შვილების მარჯვენით კიდევ უფრო დამშვენებულიყოს.

შინაარსი

2. დეკანოზი ილია მელია.
2. გვი გაბლიანი.
3. გ. ქართველი
5. † ვიქტორ ნოზაძე.
7. გიორგი ნოზაძე
9. ზვიად გამსახურდია

საშობო სიტყვა.  
გასული 1 9 7 5 წელი.  
ძალთა დაბირისპირება.  
ერთა ასიმილიცია  
„თურქ-მესხთა“ გადასახლება.  
ლია წერილი პროფ. დ. ლენგს.

10. ვარ. ინსარიძე რა მოხდა საქართველოში 1973 წ?
11. მიხეილ ქავთარაძე მნიშვნელოვანი წერილმანები.
13. გ. წერეთელი ქართველი ებრაელების გადასახლება ისრაელში.
14. დავით აფიაშვილი მეგობრობის აღმადარი და სხვა.



საზოგო სიტყვა

სახარების მოთხოვნით, ყველაზე ადრე უბრალო მწყემსთა მიიღეს ცნობა იმ გადაწყვეტი მოვლენის, რომელმაც ძირითადად შეცვალა მთელი ადამიანების ბედი. ეს არის ცნობა ღმრთის განკაცებისა, რაც შეადგენს ქრისტიანულ რწმენის სპეციფიურ მტკიცებას.

მწყემსთა შემდეგ, აღმოსავლეთით ჰაიენდენ მოგვნი ღვთიური ყრმის სათაყვანებლად. ისინი იყვნენ უცხოელები, ე. ი. არ ეკუთვნოდნენ, ძველი აღთქმით გამზადებულ ისრაელის ერს. ამრიგად მოცემულია ორი ქეშმარიტება: პირველი, უპირატესობა ღვთის წინაშე ღარიბ და სუსტ ხალხის, მდიდართა და ძლიერთა ზედა. მეორე, ადამიანთა შორის ყოველგვარ კედელთა მოშლა. ორივე მოვლენა გვიჩვენებს იესო ქრისტეს მოსვლის საყოველთაო მნიშვნელობას.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, იესო ქრისტე ეძებდა უბრალო ხალხის, ღარიბთა, სნეულთა და ყველა უსასოთა სამსახურს.

თავისისცემა მოგვთა კი მოწმობს, რომ წარმართთა შორისაც რჩებოდა, თუმცა შეუგნებლად. ცხოვრების იმედი, საყოველთაო მხსნელის ლოდინი, ქეშმარიტ ღმრთის რწმენის ნიშნები.

იმ ეპოქიდან ყოველი ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ერთადერთი ბრძოლა, რომელიც მთლიანად იშლება მის არსებაში, შეგნებასა და გულში. ესაა ბრძოლა რწმენის,

იმედის და სიყვარულისათვის, ეგოიზმის და ყოველგვარი ცოდვის წინააღმდეგ. ამასთანავე, ქრისტიანობა არის იმედიაობის განცხადება. იმედის პირველი ნაყოფი კი არის დათრგუნვა შიშისა. სწორედ შიში დაძაბუნებს კაცს. მანამ იმედი არსებობს გულის სიღრმეში, ყველაფერი არის შესძლებელი და მომავალი რჩება ლიად. ეს არის ადამიანის თავდაცვის ალღო და მართლაც უბედურია კაცი, რომელმაც დაკარგა იმედი.

ამიტომაც ასე ცდილობენ რწმენის მდევნელი შეაშინონ მორწმუნენი და მიიყვანონ სასოწარკვეთილებამდე, ამიტომაც აღფრთოვანებით ვესალმები იმათ ვინც ჩვენს სამშობლოში უშიშრად იბრძვიან რწმენისათვის; მათ დაუბრუნეს ხალხს იმედი. დაე, ყველა მათ ვინც განუშორნენ რწმენისაგან — იხლონ ბეთლემის ვარსკლავი. ის მიიყვანს მათ ქრისტესთან .ე. ი. სიმართლესთან და ქეშმარიტებასთან.

ყველამ ერთად, სამშობლოში და აქა, მოვისმინოთ ანგელოსთა გალობა:

**დიდება მაღალთა შინა ღმერთსა. ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა**

შობა, 1975.

პარიზის წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი. **დეკანოზი ილია მელია.**

### გასული 1975 წელი \*)


1975 წელს რა მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა მსოფლიოში?

ეს ცვლილებები პირდაპირი შედეგები არიან ამერიკის და საერთოდ დასავლეთის დემოკრატიის შემცდარი საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც „დეტანტი“ უწოდეს. ამან გამოიწვია დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დასუსტება, ცალმხრივი კონცესიებით. თითქოს დასავლეთელებმა დაჰკარგეს უნარი თავისუფლების პრინციპების ბრძოლისათვის. ასეთი მოვლენა, როგორც ისტორია ვგასწავლის მძიმე სასჯელს იწვევს. (მოვიგონოთ ჩემებერლენი მიუნენში.ან როზეველტი და ჩერჩილი იალტაში).

ამიტომ საგარეო პოლიტიკაში რუსეთის წითელმა იმპერიალიზმმა მრავალ გამარჯვებებს მიაღწია და ამ მხრივ წინ მიიწევა.

\*) ბატონმა გ. გაბლიანმა კეთილი ინება და პასუხი გასცა რედაქციის მიერ დასმულ კითხვებს. რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასწებთ.

რედაქცია.



საბჭოთა კავშირის შინაგანი მდგომარეობა?

ეს დიდად არ შეცვლილა. მისი ეკონომიური სისტემა ისევე, როგორც წინა დამოუფალი კრიზისების წინ დგას. ეხლაც როგორც წინათ, ვაჭრობა-მოგების მიზნით, დასავლეთი საბჭოთა რუსეთს ეხმარება, არა მარტო პური, არამედ ტექნოლოგიური ცოდნით, რომელიც საბოლოო ანგარიშში დასავლეთის დასუსტებას იწვევს. საბჭოთა პროპაგანდა ვერ კიდევ ახერხებს შინაგან ოპოზიციის ჩახუმებას. ამ ოპოზიციის წარმომადგენელთა ხმა, მაგ. სახაროვი და სოლჟენიცინის, დასავლეთში უფრო მკაფიოდ ისმის, ვიდრე საბჭოთა კავშირში. არა გვაქვს საბჭოთა თითქოს მასები, ამჟამად ამით დანტერესებულნი იყვნენ იქ.

მხოლოდ დიდი კატასტროფული მოვლენების დროს, როგორც ომია, მასები შეიძლება აღსდგნენ. ამჟამად მიუთითებს, როგორც იცით, რუსი ოპოზიციონერი ანდრეი ამარლიკი, თავის ნაწილობრივ ფანტაზიურ წიგნში.

მეორე მსოფლიო ომმა დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის მასები, დასაწყისში ძალიან ცოტა წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულ გერმანელებს და მილიონზე მეტი არარუსი და რუსი მოხალისეთ გერმანელი ჯარის მიერ შექმნილ მოხალისეთა ნაწილებში ჩაეწერა. მხოლოდ პიტლერის მეთეფილა „აღმოსავლეთის პოლიტიკამ“ აიძულა მასები მოვიანებოთ, სტალინის გარშემო დარაზმულიყვნენ „სამამულიშვილო ომის“ მოსაგებათ.

დასავლეთმა, (და არა მარტო გერმანიამ, არამედ ფრანგებმა და ანგლო-ამერიკელებმაც) საბჭოთა რეჟიმის და მისი იმპერიალიტური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსული მილიონზედ მეტი ადამიანი გასწირა, ამიტომ წინანდელი ნღობა დასავლეთის მიმართ შეირყა.

კრემლი შეეცდება ყოველგვარი ლინისძიების ხმარებას საყოველთაო ომის თავიდან ასაცილებლად. რატომ უნდა ჩაებას დამანგრეველ ატომიურ ომში, როცა კომუნიზმის თანარსებობის“ პოლიტიკით თავის მიზნებს აღწევს და ამავე დროს დასავლეთს ყოველმხრივ ასუსტებს?

ასევე იგი შეეცდება ჩინეთის დასუსტებას, მისი გამოცდილი ძველი ხელმძღვანელების სიკვდილის შემდეგ.

რა მდგომარეობაა საქართველოში და მისი განთავისუფლების პერსპექტივები?

აქ ახლო მომავალში ვერაფერ სანუგეშოს ვერ ვხედავთ. მაგრამ თუ ისტორიის გამოცდილებით ეხილმძღვანელებთ, ერთ დღეს საქართველო და მისი მეზობელი კავასილები თავისუფლბას დაიბრუნებენ.

ამას იმიტომ ვამბობთ რომ კოლონიალური რეჟიმი ისტორიამ გასწირა. დღეს მხოლოდ წითლთა რუსული კოლონიები არსებობენ, მის იმპერიაში, ძალით მოქცეული. ყოველგვარი იმპერია იბადება, იზრდება და კვდება; ამ კანონს, არა გვეგონია რუსეთის იმპერია გადაურჩეს.

საინტერესოა რომ 1956 წლის, თბილისის სტუდენტების გამოსვლის შემდეგ. მხოლოდ ეხლახან გვესმის ქართველი ინტელიგენტების ხმები. სახაროვის მსგავსად, ქართველებს და სხვა არა რუს ერიოთა საკითხი საბჭ. კავშირში, მართო პოლიტიკური რეჟიმის კი არა, — ეროვნული საკითხია. ამიტომ, არა რუსები ერთმანეთში მკიდრო კავშირში უნდა იყვნენ და ამის შემდეგ, მოლაპარაკებაში და კავშირში ისეთ პროგრესიულ ძალებთან, რომელსაც სახაროვი წარმოადგენს.

ყველა ამ ძალების პირველი საკითხი, ჩვენის აზრით უნდა იყოს სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთთან დამოკიდებულების საკითხი. ევროპის „საერთო ბაზრის“ მაგალითი შეიძლება აღმოსავლეთშიც გამოიყენოს.

გივი გაბლაიანი.

### ქალთა დაპირისპირება

საერთაშორისო მდგომარეობის კომენტატორები შეეცდილია პესიმისტებად და ოპტიმისტებად დაეჯავუფოდ. სიმართლე უნდა ითქვას, ამ 1975—76 წლების მიჯნაზე ოპტიმისტები სანთლთ საძებნი არიან, ხოლო თუ პესიმისტებს დაუჯერებთ, დასავლეთის დამოკრატის ხელმძღვანელები დათმომებს დათმობებზე აკეთებდნენ, პოზიციებს პოზიციებზე სტრუქტურებენ, რის გამოც დასავლეთი თავისივე ხალმძღვანელების ბრალით სუსტდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირი ძლიერდებოდა, ისე რომ ამ უკანასკნელს ხელის განძრევაც არ დაჭირდებოდა, ისე ჩაუვარდებოდა მწივე ვაშლები კალათაში.



შეიძლება, ამ მათ მსჯელობასაც თავისი, ნაწილობრივი, გამართლება ჰქონდეს, მაგრამ მე მკონია არ მისმართლე უფრო შუაშია ვიდრე მის მარცხნივ და მარჯვნივ. უკეთესია ცალკეული მოვლენები განვიხილოთ.

1975 წლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა, უეჭველად იყო ამერიკის მიერ ინდოჩინეთის მის ნებაზე შიტოვება და იქ მოქმედების გაბატონება. მე ვფიქრობ, რომ ამერიკის მხრივ ეს იყო მეტად გონივრული და გაზნედული გადაწყვეტილება და ამით დემოკრატიული ბანაკი არამც თუ არ დასუსტებულა, არამედ უფროც გამძლიერდა.

შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, როცა ამერიკამ საფრანგეთი შეეცალა. ვიეტნამის ორად გაყოფა საბოლოოდ მიიჩნია და შეეცადა ერთი ნაწილის დაცვას მეორე, კომუნისტური ნაწილისაგან. დემოკრატიული ამერიკისათვის მანვე იყო გაუთავებელი ომი ეწარმოებია ე. წ. პარტიზანების წინააღმდეგ. ეს ომი არა პოპულარული იყო თვით ამერიკის ხალხში და გულწრფელად, თითქმის, არც ერთი ქვეყანა ამერიკას არ თანაუგრძობდა. აზიის სამხრეთ აღმოსავლეთიდან ამერიკის ეკლასს ხელს ისიც უწყობდა, რომ მსოფლიოს ამ კუთხეში, უკანასკნელ 10

116-7-5

22057  
29 689



წელში; პოლიტიკური მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა. საბჭოთა კავშირთან სოლიდარული და შეიძლება ითქვას, ხელკეტი ქვეყნიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გადაიქცა სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლის ინტერესები სულ უფრო ხშირად უპირისპირდება მისი ყოფილი დამხმარის, საბჭოთა კავშირისას. ამიტომ, ინდივიდუალური ამერიკის ვასალით ვს ქვეყანა საბჭოების მსხვერპლად კი არ რჩება, არამედ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კიდევ ერთ განხეთქილების ვაშლად. მაშინ როდესაც ინდივიდუალური ქაიბიდან განთავისუფლებული ამერიკა, მირალურად, ეკონომიურად და მხედრულად უფრო მეტი ევექტიურობით შეძლებს დემოკრატიის სადარაჯოზე დგომას.

ნიქსონ-კისინჯერის პოლიტიკის წყალობით, ევგებტლანსა დათამაშა დაამტკიცა და კარში მიაპარა საბჭოთა მრავალრიცხოვანი სამხედრო თუ სხვა წარმომადგენლები, ისრაელსა და ევგებტეს შორის შეწყდა საომარი მოქმედება, ისრაელმა განათავისუფლა ნაწილი დაკავებული ტერიტორიისა სუეცის არხის გასწვრივ და სხვა მშვიდობისათვის საკირო ღონისძიებები აწარმოებს. „პატარა ნაბიჯები“ შედეგდება, რომელიც ასე არ მოსწონს საბჭოთა დიპლომატიას.

საბჭოები ასევე არა სასურველები არიან სუდანში და სხვა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში. ახლო აღმოსავლეთში, საბჭოების დასარტენ ძალებს წარმოადგენენ პალესტინელები და სირიელები, რომლებიც მას ძალიან ძვირი უჯდება. რომლიდანაც აქამადა არავითარი სარგებლობა არ აქვს, გარდა საერთაშორისო წყლის მეტრევისა და მომავალში იგივე უსამოვნება შეიძლება მოუვიდეს მათთან, როგორც ევგებტლებთან.

ევროპაში, მეტად მნიშვნელოვანი იყო კვიპროსის კუნძულისათვის, საბერძნეთსა და თურქეთს შორის ატენილი დავა, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის. მაგრამ ატლანტიკის ორგანიზაციამ — ოტანმა შეინარჩუნა თავისი ხმელთაშუა ზღვის, ეს მნიშვნელოვანი პოზიციები, და ჯერ-ჯერობით საბჭოეთმა, მიუხედავად დიდი ინტერესებისა ევრავითარი სარგებლობას ვერ მიაღწია.


პორტუგალიაში, საბჭოების მიერ ვალევიეზული ინტერესები მის სასარგებლოდ არ ვანივარდენ. ხოლო ანგოლას სამოქალაქო ომში, საბჭოთა კავშირის და კუბის აშქარა ჩარევა, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის ვის სასარგებლოდ ვანივარდება.

1975 წელში, საბჭოთა კავშირის დიპლომატიის მიღწეადად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის უშიშროების და ეკონომიური თანამშრომლობის თათბირი, სადაც ევროპის სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებმა და კანადამ ოფიციალურად აღიარეს: მეორე მსოფ. ომის შედეგად შექმნილი საზღვრები უნდა იქნან პატივცემული და მათი ძალით შეცვლა არ უნდა მოხდეს. მაგრამ

ეს არის 30 წლის განმავლობაში არსებული ფაქტის გლირება. არავინ არ ეფიქრობს მის ძალით შეცვლას, თითოეული ფედერალური გერმანიის მთავრობამ ფრეილიხაგომარეობა და მის მიხედვით მოაწესრიგა ურთიერთობა, როგორც საბჭოთა კავშირთან, ისე მის მოსაზღვრე სახალხო რესპუბლიკებთან. ამერიკას და „ოტანს“ ისრაჩრებთან მისთვის მიებადა და ამით, როგორც თავისი ისე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისათვის მშვიდობის მოყვარეობის კიდევ ერთი მაგალითი ეჩვენებიათ. ამათან ერთად ნუ დავივიწყებთ, რომ ჰელსინკის თათბირზე ხელმოწერილ დოკუმენტში, მესამე განყოფილება, რომელიც აღიარებს ადამიანების, საქონლის და იდეების თავისუფალ მიმოსვლის საკიროებს და მის ხელის შეწყობას, უშეუქმად არის დემოკრატიულ სამყაროს მიერ შეგზავნილი ტროისი სტენი საბჭოთა ციხე-სიმაგრეში ამ მუხლის მნიშვნელობა თავიდანვე იჭრება საბჭოების წარმომადგენლებმა და დიდხანს იჯანჯალეს. მაგრამ საბოლოოდ მისი უარყოფა ვერ შესძლეს. ამ მუხლით უკვე მშვენიერად სარგებლობენ ანდრეი სახაროვი და სხვა საბჭოთა ოპოზიციონერები, დასავლეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თუ საბჭოების ამ დიპლომატიურ სინწყლებს იმასაც დაუმატებთ, რომ სასოფლო სამეურნეო მდგომარეობა კატასტროფულია, და საერთოდ დიდ ეკონომიურ სინწყლებს ვანიცდის, რომ რუსის ხალხი ციხეებში და კატორღებში ხმა ვაკმენდილი კი აღარ მიდის, არამედ სულ მეტად ხმა მალა ვაისმის მისი პროტესტი, რომ მცირე ერთა ნაციონალიზმი სულ უფრო მეტად ვლინდება და ხელისუფლებას აღარ ძალებს მისი დამალვა მსოფლიო საზოგადოების მიმართ. მაშინ ამ ახალი წლის დასაწყისში, დემოკრატიულ ბანაკის, თავისუფლებისათვის მეტროძლი კაცობრიობის მდგომარეობა არც ისე საუალოა, როგორც ეს ზოგიერთს შეიძლება ეჩვენოს.

საბჭოთა კავშირის სისუსტე ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიპლომატიის დარგში. საბჭოთა კავშირმა დაშკარგა მის მიმზიდველობა, რომელიც მას ვაჩნდა ომის წინ და ომის შემდეგაც ორი ათეული წლის განმავლობაში. ოქტომბრის ვადატრიალების შემდეგ, საბჭოთა მსყვეურები, ქვეყნის ეკონომიურად ჩამორჩენას ჯერ აბრალეზდნენ სამოქალაქო ომს და მისგან ვამოწვეულ ნგრევას, მერე სოფლის ეკლავებს და ქალაქის ვანელებს, შემდეგ ვერმანიასთან ომმა მოუსწროთ და ყველაფერი მის ვადააბრალეს. დღეს მათ, ძველი ტყუილებით ფონზე ვასვლა აღარ შეუძლიათ. ოქტომბრის ვადატრიალებიდან 58 და ომის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგ, მიწაწყლით უზარმაზარი და ბუნებრივი სიმდიდრით უხვად დაჯილდოვებული ქვეყანა, რომ თავის ხალხს ვეღარ კენავას და რომ სახელმწიფო მხოლოდ პოლიციის წყალობით არსებობს, ისე თავისთავად მეტყვევლია, რომ თვით საბჭოთა პროპაგანდის ვირტუოზებსაც აღარ ძალებით



სმოფლიოს თვალები აუხვიონ და სიმართლე დამაღონ ამის გამო, ამ უკანასკნელ ხანებში, საბჭოთა სირიონიზები ევლარ ხიბლავენ არა მარტო ე. წ. პროკურსიულ ინტელიგენციას, არამედ თვით დემოკრატიულ ქვეყნების კომუნისტებსაც ე. ი. საბჭოთა წყობილების მოდელი ინდუსტრიალურად განვითარებულ ქვეყნებისათვის არ გამოადგება“, საჯაროდ აცხადებენ ეს უკანასკნელები. საფრანგეთის კომუნისტებმა ამ უკანასკნელად „პროლეტარიატის დიქტატურაც“ მოძველებულად გამოაცხადეს და ამრიგად საბჭოთა ოფიციალურ იდეოლოგიას, მის ერთ კარდინალურ პუნქტში დაუპირისპირდნენ. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მომავლისათვის. ამით კითხვის ქვეშ ისმება მსოფლიოს კომუნისტურ რევოლუციის საბჭოური კონცეპტია, ხოლო ამ რევოლუციამში საბჭოთა კავშირის ჰეგემონია და ბრძანებლობა მიუღებელია მომავალში დემოკრატიულ ქვეყნების კომუნისტურ პარტიებისათვის, როგორც წარსულში მთა-ყენის ჩინეთისათვის და უფრო ადრე ტიტოს იუგოსლავიისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ზემოდ ჩამოთვლილ სისუსტეებთან ერთად, იდეოლოგიური მარცხი შესაძლებელია გადაიქცეს იმ სიტუაციის წვეთად, რომელიც ავსილ ფილას გამომხატავს. ე. ი. საბჭოთა მესვეურებმა შეიძლება შეეცადონ, სანამ გვიან არ არის, სამხედრო საშუალებებით ჩაჩნი თვინათ სასარგებლოდ შემოაბრუნონ და ის კინც დიდ მსურვეებს, ზეად ძალით წინ გაივლინ და თავისი ნება-სურვილი განაჩინან. დიახ, ამეაზად არსებობს ღიდი საშინაოება საბჭოთა კავშირის მიერ ომის ხანძრის გამოწვევის. ამისათვის მათ გაანჩინათ ის უდიდესი სამხედრო პოტენციალი, რისი მსგავსიც კაცობრიობას ჯერ არაფერი უნახავს. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი, თავისი აღმოსავლეთ ევროპის სატელიტებით, გადაიქცა უმძლავრეს სამხედრო არსენალად, რომლის აღწესებად, არ შეიძლება ექვევი არ დაბადალს იმ „ხაზინთა“ მშენილობისაზიბის დაცვის სურვილით.

ყველა ცნობები ადასტურებენ, რომ საბჭოები განსაკუთრებით აძლიერებენ სტრატეგიულ ნიუკლურულ ძალებს, შეტევე ავიაციას და საზღვაო ფლოტს. საბჭოთა კავშირისათვის კონტინენტალურ სახელმწიფოსაგან ასეთი არსევიანი უტეკველდ მოწმობს რომ მას ვადაწვეტილი აქვს არა თავდაცვითი, არამედ შეტევეითი, დაპყრობითი ომის წარმოება. საბჭოების მიერ ომის განზრახვის შთანბუქილიება კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ მიუხედავათ შორიეულ აღმოსავლეთში, ჩინეთთან არსებულ დაპიომულ მდგომარეობაში, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების 75 პროცენტი იმყოფება აღმოსავლეთ გერმანიაში და საერთოდ დასავლეთ ევროპის უშუალო საზღვრებთან.

1975 წლის ზაფხულისათვის, ევროპის ფრონტზე მოწინააღმდევე ძალთა დაპირისპირება ასეთი იქნება:

კატეგორია	ბლოკი	ოტანის
დივიზიები	100	68
ჯავშნოსნები	42.000	12.000
შეტევეი ავიაცია	8.050	4.900
საჰაერო რაკეტები (ერ-სოლ)	17.000	3.000
ტაქტ. ნიუკლურული რაკეტები	3.500	7.000
დიზელთი მოძრავი წყაქე. გემები	181	143
ატომური ენერჯით ძრავი ნიუკლურული ბომბბტორის წყალქვეშა გემები	62	51
ნიუკლურული ძრავის წყაქე. გემები	70	69

ამ ცხროლს თუ ვაუთუბებთ, რომ ბალტიის ზღვაში, ვარშის ბლოკის საზღვაო ფლოტი 3.5 - ჯერ უფრო ძლიერი ოტანისაზე, და რომ საერთოდ, საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტი, თავისი გამანადგურებელი ცეცხლის სიმძლავრით ვაუთანაბრად ამერიკისას, და რომ ყოველთვიურად საბჭოთა ფლოტის მწყობრში დგება ერთი ახალი წყალქვეშა ნავი, მაზინ ექვი თითქმის აღარც კი შეიძლება, რომ საბჭოებს ვადაწვეტილი აქვთ არა თავდაცვითი ომისათვის მზადება. არამედ შეტევეითი ომისათვის. (სამხედრო ძალების შესახებ ცნობები ამოღებულია: საფრანგეთის სამხედრო ორგანო „ტ ა მ“-იდან, ოტანის კრებულთ. ივნისი 1975 წელი. ლე სპეტაკლე დუ მონდ. აგვისტო 1975 წ. ოგივე კრებულთ, დეკემბ. 1975 ).

როგორც სამხედრო ძალების დაგროვება, ისე საბჭოთა დიპლომატიის და „სუბვერსიის“ აქტივობა ბოსფორის, გიბრალტარის და კატევატის მიმართულებით, მიზანდისახავს დასავლეთ ევროპის შემოქალტეას და საქიროების შემთხვევეში მის მოწვეკეტას ნედლი მასალის და განსაკუთრებობთ, საწვევი მასალის პუნქტილისაგან. ამრიგად არსებობს სერიოზული ნიშნები, რომ უახლოეს მომავალს საერთაშორისო ვართულებებს უნდა ველოდეთ ევროპაში.

ამ ექვებს ისიც აძლიერებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან აფიქრებს კომუნისტური ჩინეთი. მაგრამ ინდუსტრიალურად ჩამორჩენილი ჩინეთი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ნამდვილ საშიშროებას: ასეთი ის ვადაქეცევა 20-30 წელიწადში.

ამიტომ შესაძლებელია, რომ მანამდე, არა უგვიანეს 5-10 წლისა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ეცდებან ხელში ჩაივლინ დასავლეთი ევროპა, მის განკარგულებაში მოაქციოს ტექნიკურად უმძლავრესი და მჭიდროდ დასახლებული კონტინენტი თმელი ევროპის და ამრიგად წარმატებით დაუპირდაპირდეს მილიარდ მტობრებთან ჩინეთს, და ტექნიკურად მძლავრ ამერიკას.

თუ ამდენი ხანი, საბჭოებმა ეს გეგმა არ განახორციელეს, ეს იმითომ რომ დასავლეთის ნამდვილ ფარს წარმო-

ადგენს ამერიკის დივიზიები და საერთოდ სამხედრო ძალები რომლებიც ვ ათასი ნიუკლეარული ტაქტიკური რაკეტები, რომლებიც გალაგებული არიან დასავლეთ გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებზე და რომლებსაც შეუძლიათ 150-დან 720 კილომეტრის სიღრმეში მოწინააღმდეგის ტერიტორიის სრული გადაწვა. ყოველგვარი სიკაცხლის მოსაპობა. სწორედ ამიტომ, ბრუენცი და მისი დიპლომატია ცდილობს შექმნას მოჩვენებითი დეტანტის და მშვიდობიანობის ატმოსფერო, მისცეს საბაზი ევროპის ანტიამერიკულ წრეებს და თვით ამერიკის იზოლაციონისტებს მოითხოვონ ამერიკელი „ბოი“-ების შინ დაბრუნება. დღემდე ყველა მათი ცდები ამ მხრით ჩაიფუშენ, სრული იმედო გვაქვს, რომ მას არც ახლო მომავალში უწერილი შესრულდება; ევროპის ხელმძღვანელობამ კარგათ იცის რომ მას ამერიკის დახმარების გარეშე ქოების შეკავება არ შეუძლია მანამ სანამ თავიანთ ეროვნულ პარტიკულარიზმებს არ დაძლევენ და არ შექმნიან ისევე როგორც ევროპის საერთო ბაზარს, ევროპის საერთო პოლიტიკას და საერთო მხედრობას.

### გიორგი ქართველი.

## მათა ასიმილაცია

გაზეთში „კომუნისტი“, 8 მარტისა 1967 წ. დაბეჭდილია მეტად საინტერესო წერილი ოთარ გვიგინიშვილის სათაურით: „ჩვენებულები“, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ეხება, ეს ქართველები, უმთავრესად, ოსმალეთთან ტყვედ წაყვანილი და ძალით გადასახლებულნი, ან რუსის მთავრობასთან შეურიგებლობის ნიადაგზე გაიზნულნი, მრავლად მოიპოვებიან, განსაკუთრებით სოფლად. ბ-ნ ოთარ გვიგინიშვილს განუზრახავს გამოერკვა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი და ამის გამო იგი სწერს:

„კანონით დადგენილი იქნა — თურქეთის ყველა მოქალაქე ეროვნებით თურქია. მაგრამ თურქებს ჯერჯერობით კიდევ შეიძლება ჰქონოდათ სხვადასხვა მშობლიური ენა. ახალი, მხოლოდ დროებით, და რადვანაც მესვეურთა გაგებით, ქვეყნის ისტორიული პროგრესი უნდა გამოხატულიყო არათურქული ენების თანდათანობით მოსპობით, მოსახლეობის აღწერის მასალებს ისე ადგენდნენ და ასწავლებდნენ, რომ დაემტკიცებინათ, თითქმის მიმდინარეობდა ეს პროცესი, რაც მათი აზრით, პროგრესს წარმოადგენდა. მშობლიურ ენად თურქულს გამოცხადება მისაბამ მაკალითად ითვლებოდა და ხელისუფალთა ნდობის მოპოვების ნიშნავდა, — ყველა სხვა ენა კი იდევნებოდა.“

„ვემებ (სტატისტიკის) სვეტებში ჩემთვის საინტერესო ციფრებს, ვეძებ ადგილებს, სადაც ლაპარაკობენ ქართულად და ვხედავ: ბურსას, ქაჯაღლის, ყიზილმარში, კამოდის, რომ ამ უბედურ წლებში, საქართველოდან წასულთ არ დავიწყებიათ ქართული ენა, უბრძოლიათ, არ დაუთმიათ...“

„აღწერების მონაცემები ერთმანეთს ეწინააღმდეგებად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. იქ სადაც ციფრები არ ეთანხმებოდნენ თურქიზმის ოფიციალურ დოქტრინებს, ციფრებს ცვლიდნენ; ქართული ენის არსებობა თურქეთში ხომ ამხსნევს იმათ იმედებს; ვინც თავისი ცხოვრების მიზნად თურქიზმის იდეებს განხორციელება დისახა, 1927 წლის, მოსახლეობის აღწერის დროს, თურქები ამტკიცებდნენ, თურქეთში ქართულად არც ერთი ადამიანი არ ლაპარაკობს; 1935 წ. ის აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ქართულ ენას (ლაზურის ჩათვლით) მშობლიურ ენად თვლის 120.578 კაცი; 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ქართულად მოლაპარაკენი კვლავ გაქრნენ, მაგრამ 1945 წელს ქართულ ენას მშობლიურ ენად თვლიდა 87.063 კაცი, — 1950 წ. 143.027, — 1955 წელს — 80.639. მოყვანილი (თუ მოტანილი) ციფრებს იმავე აღწერების მასალებს მიხედვით უნდა დაეუმატოთ: 1935 წლის მონაცემებს — 19.128; 1945 წლისას — 28.329, და 1955 წლისას — 39.705. ესენი არიან ისინი, ვინც თავის მეორე სალაპარაკო ენად ქართული (ან ლაზური) გამოაცხადა. ამაგარად, მივიღოთ შემდეგ ციფრებს: 1935 წელს თურქულა ოფიციალური ცნობით, თურქეთში იყო 139.706 ქართველი; — 1945, — 115.392 და 1955 წელს — 120.344. 1950 აღწერის მასალებში, მეორე სალაპარაკო ენის მიხედვით, თურქეთის მოსახლეობა მოციმული არ არის, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ საშუალოს, 1945 და 1955 წლებ შორის, მივიღებთ 175.000 ქართველს...“ წერს ო. გვიგინიშვილი. მეტად საინტერესო მოვენას არის! თურქიზმის იდეის განსახორციელებლად, თურქები მართლაც ცდილობენ სხვა ყველა ეროვნული უმცირესობა (ქართველები, აფხაზები, ჩერქეზები და სხვანი) აღმოფხვრან, — ადმინისტრაციული ზომებით, — თუ თურქი არა ხარ ევრავთათა სამსახურს ვერ მიიღებ; თურქად თავს არ გამოაცხადებ, სამუშაო ადგილს არ მოგცემენ. მოკლედ რომ მოგახსენოთ: ეროვნულ უმცირესობას ისეთ პირობებში აყენებენ რომ, ძალდატანებით, ყველას აიძულებენ გათურქებას, მაგრამ ამ თავის მსხვერულ მიზანს, ჯერჯერობით ვერ აღწევენ...“

თურქეთში, თუ თურქიზმის მიზნით ასეთ პოლიტიკას ეწევიან, საბჭოთა კავშირში უკვე ერების გაქრობას სხვა ლოზუნგით ახორციელებენ. თურქეთში არის თურქიზმი, ხოლო საბჭოთა კავშირში არის უფრო ფართო და უფრო ამბიციური მიზანი: გათქვიფონ ყველა ერი რუსულ-სლავიანურ ზღვაში, მოახდინონ ეროვნული ასიმილაცია.

შექმნან საბჭოთა ადამიანი, გააღვივნან საბჭოთა პატრიოტიზმი, ყველა აამღერონ დიდი სამშობლოს ენაზე, ესე იგი რუსულად. თვითონ რუსი, ი. ა. კურგანოვი სწერს თავის წიგნში: „ნაციი სსსრ ი რუსკი ვოპროსი“ (ფრანკფურტ-მაინი 1961 წ.): „ხდება ცალკეულ რესპუბლიკებში, სსსრ-ის ზოგადი ასიმილაციის პროცესი და მიიმართება იგი არსებული ხელისუფლების ხელოვნური პოლიტიკით, რომელიც სსსრ-ის მიზანს აქვს დაჩქარებით გააერთიანოს ეროვნებები და ბოლოს მოსაზრებულ ეროვნული უმცირესობანი, და ეს პროცესი იწყება ჩვეულებრივად ენის შევიწროებით. (გვ. 35—36).

მაგრამ მე მსურს ამ წერილში მკითხველის ყურადღება შევაქცეო სწორედ სტატისტიკაზე, რომლის შესახებ ბნინი ითარგმნა გენიერსონი თურქეთის აღწერების გამო მწერად ლაბარაკობს.

საბჭოთა კავშირის 1926 წლის მოსახლეობის აღწერა, ამბობს კურგანოვი — 1927 წლის შემდეგ არა ერთჯერ დაზუსტეს — გამოუცვალეს სახელი ერებს (მაგალითად „იორტ“-ებს დაარქვეს „ალტაი“; ზოგ დასჯილ ერთა სახელები სრულებით გაქრნენ და შემდეგ ისევ აღადგინეს და სხვა. (გვერდი 243), ხოლო ზოგი ერების რიცხვი შეაქვეთ საერთო ციფრში: „სხვადასხვა ეროვნებანი“...

ერთი ვიციბრძანეთ, ბატონო, რით განსხვავდება თურქიზმის პოლიტიკა რუსიზმის პოლიტიკიდან? რით განსხვავდება სოციალისტური თუ კომუნისტური „რუსული“ პოლიტიკა. კაპიტალისტურ თურქეთის პოლიტიკისაგან? რუსეთი სოციალიზმის და კომუნისმის სახელით და მისი ინტერესების განხორციელების მიზნით, სხვა ერებს ასიმილაციას უხდენს, ხოლო თურქები თურქიზმის ინტერესებისა და მიზნების მიხედვით სხვა ერთა შვილებს, აგრეთვე ასიმილაციას უხდენენ, რუსეთიც ძალადობით და მოქნილი, მზაკერული პოლიტიკით და თურქეთიც ძალადობით აგრეთვე მოქნილი მზაკერული პოლიტიკით! ერთი სოციალიზმისა და კომუნისმის მიზნისათვის, დიდი რუსული სამშობლოს შექმნით, ხოლო მეორე, თურქიზმის მიზნით და დიდი თურქეთის შექმნისათვის! მგელი შეგჭამს, თუ მგლის ფერი ძალი სულ ერთი არ არის!

† ვიქტორ ნოზაძე.

## „თურქ-მისხების“ გადასახლება

რუსული „თვითგამოცემის“ საშუალებით ცნობილი გახდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მკირე ერთა განადგურების კიდევ ერთი ფაქტი. საკითხი ეხება საქართველოში მცხოვრებ მუსულმანებს, რომლებსაც მოკოვოს „ქრონიკები“ თურქ-მესხებად იხსენიებს, ისინი ცხოვრობდნენ: ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვის ახალქალაქის რაიონებში.

1944 წლის ნოემბერში, ისინი აპყარეს და გადასახლეს ცენტრალურ აზიაში, ყაზახისტანში, სსსრ-ის მრავალი მათგანი (ათეული ათასობით, მესხების ცნობის მიხედვით) ცილა შიმშილით და სიცივის გამო, გადასახლების პირველ თვეებში.

1956 წელში, საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, „დალატის“ და გადასახლების კანონი გაუქმდა თურქ-მესხებისათვის. ნორმალურად, მათ სამშობლოში დაბრუნებას წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა, მაგრამ მიუხედავად მრავალი თხოვნისა ამის ნება არც ვერ მიიღეს. 1968 წელში, 18 ნოემბერს, თურქ-მესხების დღევანდელი მიიღო საბჭოთა კავშირის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ე. პ. იაკოვ-ლევა და სიტყვიერად ნება დართო დასახლებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. რამდენიმე თვეს ნებაც კი დართეს დასახლებულიყვნენ მესხებში. ირწმუნეს რა ეს დაპირება, მიატოვეს რაც რამ გაანდდათ ადიგენზე და ასობით ოჯახებმა იწყეს საქართველოში დაბრუნება, მაგრამ მალე მათ იმედი გაუცრუვდათ: ხელახლა გადასახლეს საქართველოდან.

იმ დროის შესახებ, რუსული ქრონიკა წერს: „საქართველოს რკინის გზის სადგურები და პაქნები სასევა ამ უსახსლო ადამიანებით, რომლებსაც არ გააჩნიათ, არც ქონება, არც სამუშაო და არც თავშესაფარი, და რომელთაც სისტემატურად ერეკებიან, როგორც კი დაადგამენ ფეხს თავიანთ წინაპრების მიწაზე. საკითხი ეხება მთლიან ოჯახებს; პატარა განშვილებით, მოხუცებით და ავადმყოფებით“.

აღსანიშნავია რომ არავითარი ანტაგონიზმი ამ უბედური ხალხის მიმართ, საქართველოს მოსახლეობას არ გამოუჩენია, პირიქით, ისინი დიდი სიმამტით სარგებლობდნენ ინტელიგენციაში, მაგრამ პრაქტიკულად დახმარება მათ ვერ შესძლეს.

საქართველოს მთავრობამ, 1969 წელში, ურჩია მათ დასახლებულიყვნენ სხვა და სხვა ადგილებში, კიდევაც ჩამოსება 505 ოჯახი. ქართველებს მძებვით მიიღიათ, დახმარებინან მოწყობაში, სამუშაოს შოვნაში, მაგრამ მალე კვლავ მოუყრიათ თავი ყველასათვის, გაუქმებინან რკინიგზის ვაკონები და გაუფანტათ სხვადასხვა მიმართულებით.

ამის ემდეგ მათ ყოველგვარი იმედი დაუკარგავთ საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობაზე და ბევრ მათგანს გადაუწყვეტია საბჭოთა მოქალაქეობაზე უარის თქმა და თურქეთში გახიზნა. საბჭოთა ხელისუფლებას ეს არ მოსწონებია და მოთავე კაცები ციხეში პატიმრობით დაუსჯია. რამტ სეიდტაჯვი, ერთ-ერთი აქტივისტი გადასახლებულში მყოფ თურქ-მესხებისა, მანკი არ შემინებულა და წერილები გაუგზავნია: ლ. ბრეჟნევისათვის, კურტ ვალდჰაიმისათვის და თურქეთის პრემიერ მინისტრისა-

თვის. რუსულ თვითგამოცემის საშუალებით ეს წერილები ცნობილი გახდა დასავლეთში. ამ წერილებში სიფატოვი აღწერს თურქ-მესხების მდგომარეობას, მოითხოვს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, საბჭოთა კანონების და „ადამიანის უფლებათა დაცვას“ თურქ-მესხების მიმართ და რომ მათ ნება დართონ სამშობლოში დაბრუნების.

ონიუს გენერალურ მდიენისადმი მიწერილ წერილში სიფატოვი, სხვათაშორის, ამბობს: „მონები ხომ არ ვართ იძულებული ვიყოთ ვიცხოვროთ იქ სადაც გვიბრძანებს ხელისუფლების ორგანოები და ნებაც არ გვქონდეს უარი ვთქვათ საბჭოთა მოქალაქეობაზე და დაეტოვიოთ ქვეყანა?“

გთხოვთ როგორც ონიუს გენერალურ მდიენს, დაგვეზმაროთ დაუბრუნდეთ ჩვენი წინაპრების მიწას, საიდანაც უსამართლოდ გადაგვასახლეს“-ო.

კერ კიდევ კარგად ცნობილი არ არის ჩვენთვის ეს უსამართლო დასჯილი „თურქ-მესხები“, ჩვენი სისხლხორცი. მესხეთის მკვიდრი ქართველები არიან, რომლებმაც მე-16, მე-17 საუკუნეებში, თურქეთის მძლავრობის შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღო, თუ სწორედ ამ დროს, იქ ჩასახლებული თურქები. რა თქმა უნდა, ამით ძირითადი საკითხი არ იცვლება; რა წარმოშობისაც არ უნდა იყვნენ ისინი, საუკუნეების განმავლობაში მოზიზნადრე ზალხის უდანაშაულოდ აყრა და გადასახლება ხელისუფლების მიერ, არის უპატივებელი დანაშაული.

გიორგი ნოშაძე.

## საქართველოს ა მ ბ ე ბ ი

### ლია წამილი პროფსოღო დავიდ ლენინსადმი

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ამას წინაღ, ლენინის „ტაიშისში“ ჟურნალისტმა პიტერ რედვეიმ გამოაქვეყნა მასალები და დოკუმენტები 1912 წელს საქართველოს საპატრიარქოს გამარცხის შესახებ უშიშროების კომიტეტის აგენტების: კერატოშვილის (კერატინის), ტერზიევის, თვალჭრელიძის, ბახტაძის და სხვათა მიერ. მე შევიტყვე აგრეთვე, რომ თქვენ გამოეკამათეთ მას და ხსენებული დოკუმენტები, მათ შორის „იროვის რაიონის პროკურორის თანაშემწის, დ. ქორიძის ცნობა გამარცხის შესახებ ყალბად გამოაცხადეთ და ამტკიცებდით, საპატრიარქოს გამარცხვა არ მომხდარაო.

რედაქციის შენიშვნა. ზვიად გამსახურდიას ეს წერილი „თვითგამოცემის“ გზით მივიღეთ. მას გთავაზობთ უცვლელად და უკომენტაროდ.

რედაქცია.

ამას წინაღ, მე ვესაუბრე დავით ქორიძეს, რომელიც ჩემი კარგი ნაცნობია და ვუთხარი ყოველივე ეს. მან დიდი აღშფოთება გამოასთქვა თქვენი საქციელის გამო. ეს ამას უთუოდ პირადადაც მოგახსენებთ, თუ თანამოსამრამდისის მოსურვებით მასთან პირადად შეხვედრას. მანამდე კი მე მუშის ფაქტით თქვენი უპასუხისმგებლო განცხადება შემდეგ ვამტკიცებ.

1. საპატრიარქოს გამარცხის გამოძიება დაიწყო იროვის რაიონის პროკურატურამ 1912 წელს, მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი საჩივრების საფუძველზე. დავით ქორიძემ დაწერა ცნობა გამარცხის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიენის ე. შვეკრდნაძის მოთხოვნით. ამის შესახებ ქორიძეს აცნობა შვეკრდნაძის თანაშემწემ ვლ. ალფენიძემ, ხოლო ამ უკანასკნელთან მე პირადად დავაკავშირე დ. ქორიძე ამ ცნობის შინაარსის მოსათხრობად იროვის რაიონული პროკურატურისადმი გამოძიების მასალები 1914 წელს გადაიგზავნა ქ. თბილისის პროკურატურაში, სადაც გამოძიება განაგრძო ნ. ქადაგიშვილმა, მაგრამ რომელიცაც გაველინა. დიდი თანამდებობის პირების ჩარევის შედეგად, საქმის გამოძიება შეწყვედა და იგი დღემდე პარალელურად. ამ საქმესთან დავაკავშირებთ მე რამდენადაც ვმუშაობდი კულტურის სამინისტროს ძველთა დაცვის სამმართველოში, არა ერთხელ ვყოფილარ ცენტრალური კომიტეტში ვლ. ალფენიძესთან, რომელმაც ერთხელ, ჩემის თანდასწრებით, დაურეკა კიდევ აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეს, მანელაშვილს, რომელმაც მას უთხრა სიტყვა-სიტყვით: „გამარცხის ფაქტები დადასტურებულია პროკურატურის მიერ, მაგრამ იქაური მუშაკები ერთდებამო საქმის აღძვრას, ვიდრე ცენტრალური კომიტეტიდან არ ექნებათ პირდაპირი წერილობითი მითითება“. მაშინ ალფენიძემ მიიხრა, მოვიცადეთ ცოტა, და იქნებ დროთა განმავლობაში აღძვრას საქმე.

ამ საკითხთან დაკავშირებით მე ვესაუბრე აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს როლიგის დარგში, თ. ონოფრიშვილს, რომელმაც დაამიბედა, ამ საქმეში მოსაკრებელი ჩარეული, საქმის უთუოდ გამოძიებენ და ბოროტმომქმედ „უნიკოპოზ“ გაიოხს (კერატოშვილის) დაპატიმრებნო.

2. ქალაქის პროკურორის გამოძიებელს ნ. ქადაგიშვილს, მღვდელად ილარიონმა, (სამხარაძემ) წარუდგინა არასრული სია საპატრიარქოდან, კერატოშვილის (კერატინის), ტერზიევის და სხვათა მიერ გატაცებული ნივთებისა. ამ სიის ერთი პირი მღვდელმა ილარიონმა მე გადამოქცა. (თავად ილარიონმა ესწრაფობდა გამარცხის და მან პირივე შეეტანა განცხადება ამის შესახებ მინისტრთა საბჭოში). თუ ეს სია:

1). საელქსიო ვერსკლავი, ვერცხლის 1 ცალი.

2). სახარება ვერცხლის, მოქვილი, დიდი ზომის 40 სმ.

—30 სმ. — 1 ც.



- 3). სახარება ვერცხლის, მოქედილი, მცირე ზომის; 25 სმ. — 20 სმ. — 1ც.
- 4). ტრაპეზზე დასადგელი ეკლესია. ვერცხლის, ძველი ნახევარი — 1ც.
- 5). წმინდა ნაწილებით მორთული ვერცხლის ხატი, ზომით 30 სმ. — 20 სმ. — 1ც.
- 6). საეკლესიო ნივთი, წმინდა ნაწილებით — 1ც.
- 7). მიტეპე მღვდელმთავრების — 4ც.
- 8). კვერთხი ძვლის, ინდოეთიდან ჩამოტანილი, 130 სმ.-1ც
- 9). ვაზა ბროლის, დე გოლის ნაჩუქარი — 1ც.
- 10) ვერცხლის მცირე ზომის ლოქი თავის ლანგარით - 1.
11. ვერცხლის დანა-ჩანგალი, კოვზები სადილის, ჩაის, წაღებულა ჩემოდნით.
- 12). რამდენიმე გაუსხენი საესე ჩემოდანი.
- 13). ხატი, მთლიანად ძვლის 35 სმ. 25 სმ. — 1ც.
- 14). ხატი, ფიკარზე დახატული იესო მაცხოვრის და დედ-და წმიდის 60 სმ. — 40 სმ. — 1ც.
- 15). მღვდელმთავრის მოკახმულობა მთლიანად ვერცხლისა — 2 ცალი.
- 16). ძვირფასი ხატი თვლებით მოქედილი 50 სმ. 30 სმ.-2ც.
- 17). ძვირფასი ხატი, ოთხი განყოფილებით, ნახატი, 30 სმ. — 25 სმ. 1 ც.
- 18). უცხოეთიდან ჩამოტანილი საეკლესიო ნივთი, ნახატი — 1 .

ამ ნივთებთან ერთად გატაცებული იქნა ძვირფასი პანაგია წმ. ნინოსი, ისტორიული მნიშვნელობის ნივთი. როდესაც პროკურატურამ პატრიარქს ოფიციალურად პეიხთა ამ ნივთის შესახებ, მან განაცხადა, რომ იგი დიოკარვა. თუმცა გაპარცვიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ეს პანაგია ვითომდაც „იპოვა“ დამლაგებელმა ჭალმა, საპატრიარქოს ერთ-ერთ ოთახში ნოხის ქვეშ. ნუთუ დასაჯერებელია, რომ საპატრიარქო ოთახებს ერთი წელიწადი არავინ ალაგებდა?

3. პროკურორის თანამშემუდ. ქორიძე 1974 წელს განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან ვითომდაც „პენსიაზე გასვლის საბაბით“. მართალია, იგი 60 წლისაა, მაგრამ ჯან-ღონით აღსავსეა და თავს კარგად გრძნობს. პროკურატურაში ბევრი მუშაკი 70 წლისაა და არავინ ათავისუფლებს მათ. მაშ, რალა ქორიძე განთავისუფლეს? უნდა გავხსოვდეს, რომ თუ ქორიძემ ავლბი ცნობა დასწერა გაძარცვის შესახებ, მას კი არ განაწიფიფლებდნენ, არამედ პასუხისგებაში მისცემდნენ და დააბატორებდნენ. ასე რომ, ვკვონებ, აქაც ნათელია ყველაფერი. დეტალური ცნობები ქორიძის დენის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ „მიმდინარე ამბების ქრონიკის“ № 34-ში, რომელიც ინტელისურ ენაზე გამოდის. არ ეციო რამდენად მართალია, მაგრამ, თურმე, თქვენ იმასაც ამტკიცებდით, თბილისის ოპერა არავის დაუწვავს, მე ჩემი თვალით ვნახე ამას წინად. ნუთუ არ შეგარცხებვით, დამწერარი ოპერის ფოტო რომ გამოგვხაზნოთ?

მე კიდევ მსურს აღენიშნო, რომ ეს თქვენი ახალი „თქმობა“ ქორიძის ცნობის სიყალბისა და ოპერის შესახებ უკავშირდება თქვენს სხვა „აღმოჩენებს“. მაგალითად ამას წინად თქვენ „აღმოაჩინეთ“, რომ თურმე ქართველი ანბანი მესრობ მასშტაკის მიერ ყოფილა შექმნილი. ღირსშესანიშნავია თქვენი აღიანსი დაშნაყურ „მეცნიერებათან“. სინან თქვენ მარტო დაშნაყურ მეცნიერებას კი არ უჭერთ მხარს, არამედ მათ საქმიანობასაც. რომლიცაც ისინი მუდამ ეხმარებოდნენ რუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი ხალხი თქვენ ოდესღაც პატივს გცემდათ, როგორც მისი კულტურის პოპულარიზატორს დასავლეთში, ამჯერად კი, ამგვარი „აღმოჩენების“ შემდეგ, მერწმუნეთ, უფრო და უფრო შეიმკირდებიან საქართველოში თქვენი პატივისცემლები.

**ზვიად გამსახურდია.**  
**მწერალი, ფილოლოგი.**

27-10-1975.

**მინაწერი.** უშიშროების კომიტეტის ძალად დააშინა ეკლესიის გაძარცვის მოწმე, მიტროპოლიტი ილია (შოლანავილი), რომელიც ამჟამად სდუმს გაძარცვის გამო, მაგრამ ყველა მოწმის დაშინება შეუძლებელია.

ხ. გ.


— : —

### **არა მოხდა საქართველოში 1 9 7 8 წელში.**

მოკრევეგილმა პროფესორმა ტუროფლ რაფტომ ორი თვე დაპყო საბჭოთა კავშირში, 1973 წელს. დაბრუნების შემდეგ მან კორესპონდენტებს განუცხადა: „იმის შემდეგ, რაც მე ვნახე, გავიგონე, გავიცე საბჭოთა კავშირში. ჩემი ორი თვით იქ ყოფნის დროს — კატეგორიულად ვამტკიცებ: საბჭოთა კავშირში ნაციონალურ უმცირესობათა დემოკრაფია უარესად გაუარესდა. მოსკოვის ხელმძღვანელები ვეგმიანად ახორციელებენ უკრაინელების, ქართველების, სომხების, გერმანელების, ებრაელების ნაციონალურ, კულტურულ და სოციალურ ავტონომიის განადგურების პოლიტიკას“.

მისივე თქმით: „თბილისში, ამას წინად მომხდარი მულევიკებანი ატარებდენ ადგილობრივი მოსახლეობის სპონტანურ პროტესტის ხასიათს, იძულებითი რუსიფიკაციის წინააღმდეგ.“

გერმანიის ფ. რესპუბლიკის ჟურნალი „კეიკი“, 20 ივნისის ნომერში დაბეჭდა ცნობა ასეთი სათაურით: „თბილისში დემონსტრატები მოითხოვდენ „თავისუფალ საქართველოს“, სადაც მოთხოზობილია: „კავკასიაში, — საქართველოს საბჭ. რესპუბლიკაში—ადგილი ჰქონდა არეულობებს; რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა



ლიათ პროტესტი განცხადეს ქვეყნის რუსიფიკაციის წინააღმდეგ და მოითხოვეს „თავისუფალ საქართველოს“. დასაბუთებით ათი ათასი დემონსტრანტი, უმთავრესად ახალგაზრდები, მოდიოდნენ ქუჩებში და თავი მოიყარეს „სახელმწიფო მრჩევის“ (იგულისხმება ცეკას მეორე მდივანი ჩურკინი), ბიუროს წინ. შენობას ცეცხლი წაუქვი იქნა ბენზინის ბომბებით და დაწვეს. მიღებულ იქნა საგანგაშო ღონისძიებები, თბილისი ალყა შემოარტყა სამხედრო ნაწილებმა, ქალაქი მოწყვიტეს გარე სამყაროს, ხოლო ქალაქში, მილიციის შეიარაღებული რაზმები ახდენდნენ ჩხრეკებს და დაპატიმრებებს. დაპატიმრებულ იქნა 1500 კაცი. უმთავრესად ახალგაზრდები და აგრეთვე ნაციონალისტურად განწყობილი პარტიის მოხელეები, მწერლები და ჟურნალისტები. ამ ამბებს ადგილი ჰქონდა მისის ბოლო რიცხვებში<sup>1</sup>. „ჟურნალ „კვიკის“ მიხედვით ეს ცნობები უშუალოდ მიღებულია თბილისიდან.

28 მისს, ვაზეთმა „ფიგარო“ გამოაქვეყნა: „თბილისის ზოგიერთ კვარტალში გადავადებულ იქნა ბომბი; თბილისი ოპერა დაიწვა ამის შედეგად“.

ასევე „ლე მონდი“ წერდა: საქართველოში ადგილი ჰქონდა თავდასხმას ედ. შვედარდსის პიროვნებაზე“.

ამერიკის ვაზეთმა „კრისტენ საიენს მონიტორ“-მა თავის 7 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ცნობები საქართველოში მომხდარ მელევარებებზე, რომლის სათაურია: „მეკაცი ზომები ღრღნის საქართველოს“.

გერმანიის ფედ. რესპუბლიკის, მეტად ვავლენიანმა ქრისტიანულმა ორგანომ „ნოიე ბილდუსტ“-მა, რომელიც გამოდის ვესტფალიაში, 1973 წლის 22 ივნისს, შემდეგი მოუთხრო თავის მკითხველებს: სათაური „თავისუფლება საქართველოს“; „საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკებში უფრო და უფრო იჩენს თავს მელევარება. გასულ წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, ლიტვაში მომხდარი მელევარების შემდეგ, ახლა იტყობინებიან სისხლიან შეტაკებების შემთხვევებს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, თბილისში პროტესტი მიმართული იყო მოსკოვის შვიინსტრუ - ნაციონალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველები ილაშქრებენ ევლოკარუსული ბატონობის წინააღმდეგ თავიანთ ქვეყანაში და მოითხოვენ, რომ თავიანთ შინაურ საქმეებში თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები.

პროტესტი იხვევა აგრეთვე კოლხეთში რუსული ნინის სწავლებელ დაწყებას პირველ სკოლიდანვე. კომუნისტურმა პარტიამ ვაკრიტიკა აგრეთვე, ქართველი ინტელიგენცია, მძიმე იდეოლოგიური შეცდომებისათვის, და ამიტომ ახლა უნდა მოხდეს, იდეოლოგიური აქტივობის და კულტურული პოლიტიკის კოორდინაცია ამერიკეკასიის სამ რესპუბლიკაში, რუსული ელემენტების გაძლიერების მიზნით.

ეს ღონისძიებები გახდა საბაზი ახალგაზრდობისათვის, რომ ღია პროტესტი განცხადებდათ მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. თბილისში უფრო მკვეთრად, მისის ბოლო რიცხვებში, როგორც ახლა განხილავთ ცნობილი, რომდენიმე ათასმა დემონსტრანტებმა ოპერის თეატრის წინ და გუნდური შეხახილებით მოითხოვეს: „თავისუფლება საქართველოს“.

რაცა მანიფესტაციამ, სულ უფრო მასიური ხასიათი მიიღო, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყვანილი იყო პოლიციისა და არმიის ძლიერი შენაერთები. მილიციამ ავტომატებით ცეცხლი გახსნა დემონსტრანტებზე, გაჩაღდა ბრძოლები ქუჩებში. ამ ბრძოლების დროს, ბენზინის ბომბებით დაიწვა ოპერის თეატრი, სადაც ჩასაფრებული იყვნენ პოლიციელები და საიდანაც ესროდნენ დემონსტრანტებს.

დემონსტრანტები აგრეთვე გაეშურნენ სახელმწიფო უშიშროების შენობისაკენ და წაუქვიდნენ მას ცეცხლი ისე, როგორც ქალაქის მმართველობის შენობას. მოსკოვის ბრძანებით, თბილისი ალყაშემოკრულ იქნა არმიის საწილებისაგან და თბილისში აკრძალულ იქნა ღამე სახლიდან გამოსვლა. არეულობის ჩახშობის შედეგად, სახ. უშიშროების ორგანოებმა დაიწყეს სასტიკი დევნა რუსიფიკაციის პოლიტიკის მოწინააღმდეგებისა<sup>2</sup>.

როგორც თბილისიდან იტყობინებოდნენ, რამოდენიმე ასეული კაცი, უმთავრესად ახალგაზრდობა, მაგრამ ნაციონალურად მოაზროვნე პარტიის ფუნქციონერებიც, მწერლები, ჟურნალისტები და მასწავლებლებიც იქნენ დაპატიმრებული და ვაგზაინი „შრომა-გასაწორების“ ბანაკებში. არეულობის ხელმძღვანელებისათვის მზადდება პოლიტიკური პროცესი<sup>3</sup>.

შეტაკებები თბილისში იყო კულმინაციური წერტილი საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილებისა. ჯერ კიდევ 1972 წელს, სექტემბერში, იტყობინებოდნენ საქართველოში მელევარების შესახებ. საქართველოს ოფიციალურ პრესაშიაც აღნიშნავდნენ, რომ „ზელოანებმა“ დანაგრეს, ან დაზიანეს ძეგლები, რომლებიც დადგმულ იქნა საქართველოს ვასაბჭოების მოსახონებლად, 1921 წლ.<sup>4</sup>

სხვა ცნობებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ქალაქ სოხუმში აღმოჩენილ იქნა არალეგალური სახელისწი, რომელშიც ამზადებდნენ იარაღს. ქართველ „ნაციონალისტებისათვის“.

„საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალით იარაღის უნებართვოდ ქონება ისჯება 15 წლამდე პატიმრობით“.

„სისხლიანი მელევარებები საქართველოში, არის საბჭოთა კავშირის ხალხების ნაციონალური უკმაყოფილების აისბერგის მწვერვალი, ხალხების, რომლებიც უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო წინა პლანზე აყენებენ ეროვნულ დამოუკიდებლობას და მათი საკუთარი სულისკვეთებით სურთ განვითარება, რომ უფრო

მეტი დამოუკიდებელი გახდნენ მოსკოვიდან“.

ასეთი ცნობები გამოაქვეყნა დსავლეთის პრესამ, 1973 წლის მაისში, თბილისში მომხდარი ამბების შესახებ, მაშინ როდესაც საქართველოს ოფიციალურ პრესას, რადიოს და ტელეხედვას არც დასადასტურებლად, არც უარსაყოფად კრინტი არ დაუძრავს.

კარლო ინხარიდე.

## მინიშნული მანძილი წინაშე

იმ მრავალი სახის განსაცდელისაგან, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას, ყველაზედ საშიშელი თავისი შესაძლებელი შედეგებით, უქვეყნოდ გარუსების საფრთხეა. ჩვენს აქაურ პრესაში ამ საკითხზე უკვე კარგა ხანა იწერება, მაგრამ საქმე ისეთი დიდი მნიშვნელობის საგანს შეეხება, რომ საქირთა იგი მუდმივი მხილების, ანალიზის და ინფორმაციის სინათლეში რჩებოდეს.

ჩვენი „გარუსების“ პროცესი საქართველოში, რუსების შემოსვლისთანავე დაიწყო, მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში. საბედნიეროდ, ამ პროცესს რეგულარული ხასიათი არ ახასიათებდა, რადგან საქართველომ მას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია.


საქართველო ამ შემოტევას, ღმრთის მადლით. დღესაც წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ საუბედროდ, ქართველები მთავარ პოზიციებზე ბრძოლით კმაყოფილდებიან, რაც ქართული კულტურის, უმთავრესად ენის, განვითარებაში გამოიხატება. მაშინ როდესაც არსებობს მრავალი, ერთი შეხედვით მეორე ხაზისთვისნი ფორმა გარუსებისა, რომელნიც ბევრად უფრო საშიში არიან, ვიდრე შეიძლება ზოგსა ჰგონია.

ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, როდესაც ერთ პოლიტიკური საერთაშორისო პიროვნება წართმეული აქვს, ცხადია, არსებობს საშიშროება, რომ ჩვენ მეტნაკლებად იმ ერთან გავავთავივონ, რომლის სახელმწიფო ფარგლებშიც ვიმყოფებით. და ასეც ხდება. რაც უნდა ვარწმუნოთ უცხოელების ფართო წრე, ძნელია მათში ორმად გამჯადარი შეხედულების წყარო, რომლის მიხედვით, ჩვენ მართალია „მთლად რუსები“ არა ვართ, მაგრამ ჩვენი ეროვნება „პროვინციული პატრიოტიზმი“ და სხვა არაფერი. ამ მდგომარეობასთან ბრძოლა მეტად ძნელია, რადგან იგი აიხსნება ჩვენი გასული პოლიტიკურ ასპარეზიდან. მაგრამ თუ საქართველოს საშუალება არა აქვს მსოფლიოში პოლიტიკურად გამოჩნდეს, კულტურულად გამოჩნის და ამგვარად უცხოეთისათვის თავისი თავის გაცნობის საშუალება, უსათუოდ მოეპოვება. საუბედროდ ამ დარგში, თითქმის, არაფერი, ან ძლიერ ცოტა რამ კეთდება. ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ ან ფრანგულ ენაზე საქართველოში, დღემდე არაფერი გამოქვეყნებულა, თუ მცირე რამ გამოქ-

ვეყნა — მხოლოდ უცხოეთში, ხოლო იმათშიც, ზოგჯერ, ყოვლად დაუშვებელი შეცდომებით. მაგალითად: როდესაც ფრანგი „დიპლომატიის მარჯვენიერ“ წიგნით ხაზს, რომ ქართველ მღვდელმთავარს, უკვე საშუალო საუკუნეებში, „ალავერდსიკი“ რქმევია, მადი ხალხი დაარწმუნე — რუსებთან არაფერი საერთო არა გვაქვს; მაშინ როდესაც, ყველამ იცის, რომ დამბრუნებმა „სიკი“ თუ მარტო რუსული არა, სლავიანური ფორმა მაინც არის. ეს შეცდომა ფრანგი მთარგმნელის ბრალიც არის, რადგან თარგმანი რუსული ტექსტიდან ათის შესრულებული. მაგრამ ენაზე იქ ადვილზე, როგორ არის საქმე.

ჩემს ხელთ არის პატარა წიგნაკი: იოსებ ნონეშვილი. ლექსები. თარგმანი ფრანგულად ტატიანა ავალიანისა. გამოცემულია „ვანათლება“. 1972. ტირაჟი 1000. მე აქ ვიხეხე თარგმნის ხარისხს, რომელიც სამკარისი მოხერხებით და გემოვნებით არის შესანიშნავი. არც ნონეშვილის პოეტობაზე გავაგრძელებ. ყველამ იცის, იგი ისეთი ნიჭიერი მელექსაა, რომ მას შეუძლია ძრახის წველაზე და ყანაში ნაკეის გატანაზეც პოეზიის ენით ილაპარაკოს და რაღაც ჯადოსნური სახით ამეგარ „პოეზიას“ ლამაზი და მისაღები სახე მისცეს. ამ წიგნაკში, მისი თექვსმეტე ლექსია მოთავსებული, რომელნიც ისე არიან შერჩეული რომ, თუ არა ნატროშვილის წინასიტყვაობა, კაცი ვერ წარმოადგენდა თუ ამ ლექსების ავტორს საბჭოური რამე სცხია. . . ეს ის ლექსები არ არის, რომელთაც ავტორს ის ნდობა და წარჩინება მოუპოვეს, რომელიც მას ხელისუფალთა მიერ აქვს მინიჭებული. ამ ნდობის და წარჩინების წყალობით, ნონეშვილს ზემოაღნიშნულ, არასაბჭოურ ლექსია შერჩევის ვარა, კიდევ სხვა რამეც „გაუბედავს“ — სახელდობრ ის, რომ წიგნის რუსული სახელწოდება, უქანასწელ გვერდზეა მოთავსებული. მოკლედ, როგრც ვხედავთ, ავტორს უცდია მკითხველთა წინაშე, პირნათლად თუ არა, პირდაპინი მაინც წამდგარიყო, მაგრამ „ვიც კლას“ იოსებისას. მისი სახელი და გვარი ფრანგულად „იოსებ ნონეშვილი“ ყოფილა; ასე აწერია ამ წიგნას. რატომ არის გამოყენებული რუსული ფორმა „იოსებ“ ნაკლებად ფრანგული ენაზე? თუ ფრანგული ენაზე იცის არ მოწონდა, ქართული იოსები ვერ დატოვა? იქნებ საწყალი ნონეშვილი, ფრანგულის არ ცოდნის გამო არაფერ შუაში იყოს და ეს მოეწონა, ამ შემთხვევაში ლაქუსს არ ნიშნავდეს. არა, არც ნონეშვილი და არც მთარგმნელი ტ. ავალიანი შეგნებულად არაფერ შუაში არ არიან; საქმე გვაქვს გართულების ერთგვარ ფორმასთან. — ქართველები უცხოეთს და უცხოურს, თავისდაუნებურად, რუსული თვალთ ხედავენ, სხვა არაფერი. სამწუხაროა! საგვალაოა! დაუდევრობის ბრალიც არის.

კიდევ სხვაგვარი მაგალითი. გამოცემულია მოქანდაკე ბერძენიშვილის ნამუშევართა ალბომი, ინვა ლორთქიფანიძის კარგად და ზომიერად დაწერილი წინასიტყვაობით.



აქაც, მოქანდაკის ღირსებაზე იმის თქმით დავეჯრდეთ, რომ ბერძენიშვილი ძალიან ნიჭიერი და კულტურული ჩანს, საქართველოს კლასისა. ალბათ ერთი პირველთაგანი საქართველოში. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. მეტის თქმისათვის ქანდაკების უკეთ ცოდნა საჭირო, რასაც მე ვერ დაეჩივებ. ჩემი უფრადლება სხვა რამეში მიიპყრო. ალბომში, სხვებთან ერთად, საღდად უცხოეთში დასახტული, ერთი ფერწერის რეპორაჟიკაც არის მოთავსებული სახელად: „ლიმილის ნიღაბის ქვეშ“. სურათზე მოჩანს მოხეტიალე პატარა ცირკის დახურული ავტომანქანა, რომელსაც დიდი ლათინური ასოებით აწერია: „პავილიონ რულანტ“. საკვირველი ის არის რომ ეს წარწერა ორთოგრაფიულ შეცდომას შეიცავს: სიტყვა „რულანტ“-ის ასო „ნ“ (ნარი) აღნიშნულია ასოთი „პ“ (პავ-თი) ე. ო. სწერია: „რულანტ“. ვიფიქრე, ასეთი წარწერა როგორ შეპარებულა ყოფილიყო მეჭი. და წამსვე მივხვდი სად მარჩბა ძალის თავი. ეს წარწერა ბერძენიშვილის ადგილზე არ გადაუღია, არამედ მესხიერებაში აღადგინა ხოლო ლათინური „ნარის“ ნაცვლად რუსული „ნარი“ „გაეპარა“, რომელიც ლათინური „პავ“ გახლავთ. (აქვე უნდა შევნიშნო, რომ პირველი სიტყვის „პავილიონ“-ს უკანასკნელი „ნარი“, სურათზე არ ჩანს, ასე რომ, შეცდომა მხოლოდ ერთჯერ არის ჩადენილი).

აქაც სამე ვგაქვს ქართველი კიკის ტენიში რუსული „ვირუსის“ შებარებასთან, თორემ ბერძენიშვილის კულტურის კაცი, და ისიც მხატვარი ლათინურ აღფაბერტს რა თქმა უნდა იცნობს.

ცნობილია რომ, საქართველოში გამოცემულ ყველა წიგნს რუსული შენიშვნა ახლავს: სათაური, ავტორი, გამომცემლობა, რა ენაზეა. ეს ალბათ საყალბედულა და ახსენება კიდევაც საკუთრო არქივების და ბიბლიოტეკების ტექნიკურ საჭიროებით, მაგრამ როდესაც წიგნის სახელწოდებას და ავტორის გვარს რუსულადაც იმავე ფორმით და სიდიდით ბეჭდვენ წიგნის დასაწყისში, როგორც ქართულად. ეს სიმხალისი, მორჩილები და ლაქტის ნიშნია. ხოლო როცა სპეციალურად მხატვრულად გაფორმებული სათაური ძვირფასად გამოცემისა (როგორც მაგ. ვეფხისტყაოსანი), რუსულადაც იმავე სტილის მქონე მხატვრობით არის მოცემული, აქ მარტო მოიქვენლობა კი არ არის. არამედ მხატვრული ეთიკის დარღვევაა. ეს იმას ჰგავს მხატვარმა რომ ცხენი დახატოს და მას ორი სხვადასხვა ჯიშის ცხენის თავი გამოაბნოს.

რა გამართლება აქვს იმას, რომ ქართველი ავტორები რუსულად დაბეჭდილ სახელითა და გვარით არ ქმყო ფილდებიან და „ოტჩეტევი“-საც (მამის სახელს) ზედ უმატებენ. განა რუსებმა იციან პრუსტის, მარლოს, პიკასოს ის არაფერის მამებს რა ერქვით?

ამს მხოლოდ პოლიტიკური „გამართლება“ აქვს, სახელობარ ის, რომ ჩვენ რუსების ქვეშეყრობები ვართ.

„ნიშურები“ და ამიტომ, ჯერ არის, რუსთა წინაშე წარდგეთ ვით ყარამან ელიზბაროვიც, ვახტანგ არჩილ-ვიჩი, ჯამლეთ ელფუჯოვიჩ და სხვა. — სასირცხტროდ მსწინი კარაღია.

აქ ჩამოსული ზოგიერთი ქართველი ტურისტები ერთმანეთთან საუბარში რუსულ ენას წარამარა ხმარობენ, თითქოს ჩვენ უნდა ვაგვაკვირონ: „ნახეთ რა რუსული კითხო“. და საკვირველი ის არის, რომ აზრადაც არ მოსდით საკუთარი საქციელი ჩვენს საქციელს შეადარონ. ჩვენ ხომ ნახევარი საუკუნეა სამშობლოს მოწყვეტილები ვართ და მოსალოდნელი იქნებოდა სხვა ენაზე საუბარს, იმათზე უფრო მივხვევოდით.

როგორც თავში აღვნიშნე, ზოგსა ჰკონია რომ ყოველივე ეს წერილობნია და უმნიშვნელო, მაგრამ ასეთი შეხედულება მცდარია. ამგვარ წერილობანებით მკლავდებმა საერთო ტრენდია და ამ წერილობანების მომრავლება, განვრცობა ან უნდა მოხდეს.

**მიხეილ ქავთარაძე.**

**წმიდა ნინოშობა პარიზში.**

კვირის, 11 იანვარს, შედეგების ეკლესიის ბინაზე ჩატარდა წელსაც უკვე ტრადიციად ქცეული წმიდა ნინოშობის და შობის ხის დღესასწაულები.

ნაშუადღევს 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე პარიზის და პარიზის შემოგარენის ქართველებმა ერთად და მზიარულად გაატარეს ეს დღე. განსაკუთრებით ბედნიერი იყვნენ ბავშვები. წელს ისინი განახლებული პროგრამით წარსდგნენ ჩვენს წინაშე: გუნდური სიმღერებით და პიესებით. ქალბატონებს: თამარ თაყაიშვილს, ვალია კელიას და დალი კობახიძეს სიყვარულით უმუზავნილი, სათიესტომოს მიერ დაარსებულ ქართულ სკოლაში, და შედეგებიც დიდად გამაზნეველია. იმედია მომავალშიაც ასე მონდომებით გაავრცელებენ, და რომ ყვლა შემთხვევით მთ მოგვირის თავიანი შეიღებს ქერთული ენის შესასწავლად.

ბავშვებს 13 წლამდე, სათიესტომოს განდგეობა გაუმასინდლდა და დაურთვა საშობოო საჩუქრები.

როგორც შემოსასწავლემ ისე ბუნებრივ, დამწერებმა უხვად დახარჯეს საეკლესიო ფონდის გასაძლიერებლად. მოძღვარმა ილიამ მიიღო იმათი შემოწირულებანი, ვინც ამა თუ იმ მიზეზით დღესასწაულს ვერ დაესწრო.

**ლევან ჯუგაბიშვილის პანაშვიდი**

ბარდაცვალებიდან მართი წლის შმსარშუმების ბამრ, 15 თებერვალს, 1976 წელს, 12 საათში დღ 30 წუმთში, პარიზის წმიდა ნინოს ძალმისიანი ბადახდილი იმხმვა ლევან ჯუგაბიშვილის პანაშვიდი.

## ქართველი ებრაელები ისრაელში

### მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა.

დღემდე ჩვენს ემიგრანტულ პრესაში არ გაშუქებულია უკანასკნელი ათეული წლის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი ეროვნული მოვლენა, — ქართველი ებრაელების მსოფრად ისრაელში გადასახლება.

საქართველოს პრესაში, თავისუფალი აზრის არ არსებობის გამო, ეს საკითხი ცალმხრივად შუქდება. ისრაელში გადასახლების მსურველებს, მოლაპარაკებებაც აცხადებენ. მათ ყოველმხრივ ავიწროებენ. დეცინან, აზინებენ. მიუხედავად ამისა, მრავალმა ოჯახმა დასტოვა საქართველო და ისრაელში გადასახლდა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ 5 წელიწადში ეს ნაკადი მნიშვნელოვანი იყო და ის დღესაც გრძელდება. თქმა არ უნდა, ეს არის მკაცრად განთავისუფლებულ ქართველ ებრაელების ადგილს, ჩვენი ერისათვის უცხო ელემენტი იკავებს, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ხელისუფლების მიერ წარმოებულ გარუსების საქმეს.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არავითარი საშუალება არ აქვს, კიდევაც რომ სურდეს, გავლენა მოახდინოს ამ მოვლენაზე. მას არ შეუძლია ქართველ ებრაელთა ისრაელში გადასახლების არც მომადგება, არც შეშეკრება. არც წუწუნია და ვიწროში გააკეთებს რამეს. არც უსურვალელებმა და გულგრილმა გამოიღებს სასურველ ნაყოფს. არამედ, როგორც ემიგრაციამ, ისე საქართველოს ქართველებმა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა სწორად უნდა შეევაფასოს, საჭირო დასკვნა დაეკეთათ, ჰუმანიური პრინციპებით გაეიმსჯელოთ, ქართული ცივილიზაციის ინტერესებით ვიხედმძღვანელოთ, მაგრამ სხევისისათვისაც ავი და ბოროტი არ ვისურვოთ.

ქართველ ებრაელების შესახებ ორი შეხედულება არსებობს: ერთი იტყვის, რომ ისინი ქართველი წარმოშობის არიან და მხოლოდ მოსეს რჯულის აღიარებით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველებისაგან. მეორე კი ამტკიცებენ. რომ ისინი სისხლითაც და რჯულითაც განსხვავდებიან არიან, რომ ისინი საქართველოში მოვიდნენ ისრაელის სახელმწიფოს ვანადგურების შემდეგ და ამიტომაც, მათ შეინარჩუნეს ისრაელიტის სახელწოდება. ჩვენს განზრახვას არ შეადგენს დავიკცათ პირველი ან მეორე შეხედულება.

მაგრამ ჩვენ ერთი უღვივოდ მივგანჩნია: როცა ქართველი ებრაელების ერთი ნაწილი თავს ისრაელიტად აცხადებს და გამოითქვამს სურვილს მის წინაპართა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისას. — ხელისუფლებამ მათ ამისათვის სხვა პირობები არ უნდა შეუქმნას, და ქართველებმა მათ ბოიკოტი არ უნდა გამოუცხადოთ. ებრაელებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ აირჩიონ. როგორც მათი

ეროვნულთა, ისე მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ჩვენი ღრმა რწმენაა: ქართველ ებრაელებს რომ შეეძლოთ თავისუფლად, ქვეყნის როგორც დაბრუნება ისე, უკან დაბრუნება, მაშინ გაცილებთ მიტოვებულ ებრაელობა დასტოვებდა სამუდამოდ საქართველოს, ვიდრე ეს დღეს ხდება.

უდავოა, 26 საუკუნის განმავლობაში, ებრაელები საქართველოში ცხოვრობენ: ამ ხნის განმავლობაში, ისინი ქართველი ერის ზემის, ქირისა და ვარამის მოზარენი არიან: მათ ენა და კულტურა ქართული აქვთ.

„ქართლის ცხოვრებამ“ არ იცის ებრაელთა რბევის ფაქტები. რუსეთის რევოლუციის ხანებში, განსაკუთრებით, სამოქალაქო ომის პერიოდში, რუსეთში, უკრაინაში და პოლონეთში, ტრადიციული ხასიათი მიიღო ებრაელთა „პოვლომებმა“. საქართველოში არავითარი მსგავსი: ებრაელობა, ისევე როგორც დანარჩენი ქართველები გვერდივერდ იბრძოდა და იღწოდა მკვდრებით აღმდგარ საქართველოს სახელმწიფოს დასაცავად და ასაშენებლად. სამჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია, ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით მწვენივლად განიცადეს.

მეორე ომის დროს, როცა ომის ხანძარში მყოფ ევროპაში, ებრაელები დევნას, შევიწროებას, პარტიზობასა და განადგურებას განიცდიდნენ, მხოლოდ ქართველი ებრაელები დადარჩნენ. ჰიტლერის გერმანიის ტყვეთა ბანაკებში, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ტყვეს მის გვერდით მყოფი ებრაელი გაეცა. ხოლო საფრანგეთში მცხოვრებ ებრაელებზე უმჯობესია ვალაპარაკოთ ებრაელი გერმონ მევრელიშვილი.

„ჰიტლერელების მიერ პარიზის ოკუპაციის დროს, იოსებ ელიგულაშვილი ციხეში მოათავსეს, როგორც ებრაელი და დეპორტაციის უპირებდნენ, მაგრამ ნიუ ჯორჯისა, ევგენი გეგეჭკორის და მიშა კედიას, ენერგიული ჩარევის შედეგად, იგი განთავისუფლებული იქნა. ჩქარა, ჰიტლერელებმა დაიწყეს ებრაელთა დეპორტაცია და მათ შორის ქართველებსაც. იოსებმა ასეთ ვითარებაში, არაჩვეულებრივ უნარი და ენერგიულობა გამოიჩინა. მობილიზაცია უყო მთელ ქართველ ემიგრაციას და მათი თევგამოდებული ჩარევის შედეგად გერმანელებმა გააუქმეს განკარგულება საქართველოს ებრაელთა დეპორტაციის შესახებ. ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელობის წყალობით, განსაკუთრებით კი გერმანელების მიერ ნდობით აღჭურვილი პირის, მიშა კედიას მეშვეობით 70-ამდე ქართველი ებრაელი, პირდაპირ სიკედილს გამოაკლეს ზელიდან. გადაჭარბებული არ იქნება, თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ იოსებმა ამდენივე პოლონელი და რუსი ებრაელის გადაარჩენაც შესწავლა, კედიას მიერ ყალბად გაკეთებული დოკუმენტებით“.

...იმ აუბედით პერიოდში, იოსებ ელიგულაშვილისა და მიშა კედიას გულმოდგინე შეცადინებით მრავალი

ებრაელი ვადარჩა დეპორტაციას. აი რა ძალუძდა პატიოსანს ებრაელსა და ერთგული ქართველი მამულიწვილის ერთობლივ, შეთანხმებულ თანამშრომლობას! (კრებული „სიონი“ № 3, 1973 წ.).

ეს იშვიათი ეპიზოდი ჩვენი ახლო წარსულის არ უნდა დავივიწყოთ, არც ქართველებმა, არც ქართველ ებრაელებმა. მომავალი ვის რას უმზადებს კაცმა არ იცის. ასეთმა იშვიათმა მაგალითებმა და 26 საუკუნის ურთიერთ თანაცხოვრების უხილავმა ძაფებმა მომავალშიაც ერთმანეთი შეიძროდ უნდა შეგვაკავშიროს.

მეტად გამაზნეველებია, რომ ისრაელში, ახლად ჩამოსახლებული ქართველი ებრაელები ცდილობენ ისრაელის და საქართველოს სიყვარული ერთმანეთს შეუფუონ. ერთმა მოზარდმა გოგონამ, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს მიუგო: „თუ ბავშვი ორი მოშობილი ჰყავს — დედა და მამა — ჩვენივე ეს ისრაელი და საქართველოა“. მეორე ჰაბუკი ისრაელიდან, თავის მატად მგრძობიერ წერილში, სხვათა შორის მწერს: „1973 წელს ჩვენი ოჯახი ისრაელისკენ დააღვა გზას. ეს იყო ჩემთვის უდიდესი ტრავმა. ეტოვებდი იმ ქვეყანას სადაც მიხარობდა, სადაც დავიბადე და დავეყვავი. . . სამი წელია აქა ვარ, დღე არ გავა საქართველოზე ფიქრის გარეშე. . .“ მინდა უტეხო ენები ვისწავლო და მსურს მსოფლიოს ხალხებს გავაცნო ის დიდებული გონებრივი საუფრე ქართველებისა, რომლის ექსპორტაც ასე დიდი ვულვოდგინებით კრძალავენ სამპოლი რუსეთის სისხლიანი ცერბერები...“

ასეთი გულთა დაღადისი იშვიათი როდია ისრაელის ქართველ მრავლებში, განსაკუთრებით მის ახალგაზრდებში. ბევრი მათგანი საფუძვლიანად განათლებული და კარგი მკოდნეა ქართული ხელოვნების, ლიტერატურის, ფილოლოგიის, პოეზიის, საქართველოს ისტორიის. ისინი ცდილობენ იცხოვრონ ქართული ცივილიზაციით და ამავე დროს გაავრცელონ ისრაელის სხვა შემადგენელ ნაწილებში. იცემა კვირაში სამჯერ გაზეთი „იმედი“, ეწყობა ქართულად ლექციები, მოხსენებები, კონფერენციები. 15 წუთიან რადიო გადაცემები ქართულად.

ქ. პაიფში არსებობს ქართული ცეკვის ანსამბლი „გაზაფხული“, რომელიც 45 ქალ-ვაკს აერთიანებს და რომლის ხელმძღვანელია ბატონი შოთა წვეინაშვილი, ქუთაისიდან.

ქალაქ კირიანთას კულტურის სახლთან არსებობს ქართული თეატრი, რომლის ხელმძღვანელია ბანი არკადი წიწუაშვილი, ზესტაფონიდან.

1973 წელში, დოვ. ბორის გაპონოვის (ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი ებრაულად), ქართველოლოგიური კომიტეტის ორგანიზებით, „სიონი“, გამომდის ტელე-რედაქცია, მისი 3 ნომერი რედაქტორმა, დოქტორ იცხაკ დავიძმა (ისაკ დავითაშვილი) მეც გამოიმეჯანა. ისინი უღრესად საინტერესონი არიან, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. განსა-

კუთრებით ქართველის ყურადღება მინდა შეგვაჩირო ვან იცხაკის „ქართული-ებრაული სიმბოლისტური რეპრენსენტაციები“-ზე, რომელშიდაც ავტორის ინტელექტუალური სინატეფისთან ერთად ცნაურდება ქართველ ქრისტიანულ წყლების ბუნებისა და არსის იშვიათი უქონობა.

როგორც გავიგე, სახსრების უქონლობის გამო, მისი გამოცემა შეჩერებულია, რაც, ჩემის ზრით, დიდად სამწუხაროა, ანა მარტო ისრაელის ქართველ ებრაელებსათვის.

### გიორგი წერეთელი.

### მეგობრობის აღამდარი.

დემამიწის დღევანდელი მოსახლეობა, მრავალი ჯადოქრული გარდასახვის მოწმეა. ისე არასდროს არ განუცდიდა მსოფლიოს ხალხებს სიმძიმე პოლიტიკური მუტარმებისა, როგორც ჩვენს საუკუნეში.

საერთოდ, ხალხთა ისტორიული ანალები სასევა ასეთი შფოთიანი ქარტეხილებით; ასე ყოფილა მუდამ: არავითხელ გადაუგრაილებია ომის ქარიშხალს, ატეხილს ერთა შორის, მაგრამ სამართლიან თემიდას დაუშოშმინებია სისხლისათვის აღზევებული საყარო, როგორც პირვამეხებულ მებრძოლები — მანდილს ხეცსურის კაქობისას. ქეშმარიტად, მეგობრობის მტკიცე ბალავერზე რომ არ ყოფილიყო შექმნილი ეს მსოფლიო, ათასჯერ განადგურდებოდა აქამდე იგი. მეგობრობა იყო სწორედ ის, მარად საოცნებო და ვაუჭრობელი ლამაზი კაცობრიობისა, რამაც აქამდე გაანათა და მოიყვანა ეგზომ წყლულებით საყუე, მაგრამ მაინც გამარჯვებული ქვეყანა.

აღმათ, ამიტომაც შემაჩირო სიტყვა ჩვენმა მარადის დაუ-

— : —

ვიწყარმა ბორის გაპონოვმა, ქართველებისა და ებრაელების შექმობის საქმეს, „ვეფხისტყაოსანის“ ებრაულად თარგმნის მეოხებით. არც შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყო, იგი ვალში იყო საქართველოს წინაშე, ამა დაც უმღერა თავის ლამაზ ძიძას ასე ნახად და ჩუმი სევდით.

და მე მჯერა, ყოველი ჩვენთაგანი დიდის გულწრფელობით დაწერდა სამადლობელ ოდებს მშვენიერ საქართველოსადმი, რომ ყოფილიყო წილნაყარი აპოლონის მარგალიტთან.

ჩვენი ერის სულიერი ტრავედია მარტობაში უნდა ეცდით. ებრაელი ხალხი, საუკუნეების განმავლობაში, მარტოსულით დადიოდა. მისი არც ღმერთი იწამეს და არც რელიგია. საწუთრომ მას ღმერთის ჯვარისმტკიერეველობა მიეღუდა ბედად და არა სხვა ხალხთან სიყვარულის წყალობა.

მეურ იყო და, ედგრენ ამ „ღმერთის რჩელ“ ერს „ურჩნი ამა ქვეყნისანი“. და ებრაელობა იწყო სულსითვის კალმისობა ქვეყნისკიდდან ქვეყნისკიდმდე.

და დაიწყო გრძელი, შავზე უშვავისი ლამეები. . .

საქართველოშიაც მოაღწიეს მათ. ქართველებმა ძმურად შეიფარეს ისინი და შეივრობნენ.

საქართველოს ისტორიული წარსულის ავებდობის შედეგა წერილობითი დოკუმენტების უქონლობა ამ ორი ხალხის ურთიერთობის შესახებ; უნდა ითქვას, რომ ლიონტი მროველი ბიბლიური ეპოქის პირველსაწყისებს უკავშირებს ქართველების შთამომავლობას; ხლო ბაგრატიონები, სომეხი ბაგრატიდების გვარად — ებრაელითა მეფის სოლომონის შტოს (მათ სეფე-დროშას ასე ეწერა: ესიან - დავითან - სოლომონიან - ბაგრატიანი). მაგრამ ის ძუნწი ცნობებიც საკმარისია, ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთ მეგობრობის სამაგალითოდ, რანიც დავიტივებს: „ქართლის ცხოვრებამ.“ „მოქცევაჲ ქართლისამჲ“ და მთელმა რიგმა ქართულმა ქრონიკებმა შუა საუკუნეებში.

ხოლო ბორის გაპონოვმა ახლებური შემართებით უმღერა იმ მძლავრ ბერკეტს მეგობრობისას, რომელსაც ასე სიყვარულითა და გულმოდგინებით შესცქეროდნენ ქართლისიანი და იკოვას შვილები, ორი ათასი წლის დაუდგრომელ სრბოლაში.

უსიყვარულად არაფერი შექმნილა ამ ქვეყნად. სიყვარული იყო სწორედ პირველსაწყისი ძალა, რომელმაც უბიძგა ბორის გაპონოვს ქება ეთქვა მშენიერი საქართველისადმი; ამადაც დაიწყო თარგმანობა „ვეფხისტყაოსნისა“, ალბათ.

მსოფლიოში საქვეყნოდ განთქმულია ძველ-ებრაული პროზა. აღიარებული ამბავია, რომ ებრაელები იყვნენ პირველი პიონირები სიტყვაჯაზული მწერლობისა, (იგულისხმება ბიბლია), „გილიგამეში“ შექმნილ ხალხთან ერთად. რაც შეეხება პოეზიას. მას სახელი გაუთქვა არაბულმა ლექსმა, — დიახ, ძველი არაბები იყვნენ მშვენიერი მოლექსეები. ხოლო ძველ-ებრაულმა საგალობლებმა ვერ გაუძღეს პოეზიის ჯანრს და დარჩნენ, როგორც პოეტური პროზის ხელთუქმნელი შედეგები.

ჩემს წინაშეა გაპონოვისეული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა... მე ვიტყვი: „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულმა თარგმანმა ბევრით გადააჭარბა ძველი ებრაული ლექსის რითმასა და რიტმულობას, და შორს ჩამოიტოვა ისეთი ბრწყინვალე მოშიარები ებრაული პოეზიისა, რომლებიც გააჩნდნენ ესპანეთის ებრაულ კონგრეგაციებს. მე გგონია მკითხველი იშვიათად თუ შეხვდება ებრაულ პოეზიაში ისეთ რაფინირებულ და უხვადო ლექსიწყობას, როგორიც გაპონოვმა დავეიტოვა.

არ შეიძლება უდიდეს მღელვარებით არ წავიკითხოთ „ანდრეძი ავთანდილისა“. ამ თვავში, თარგმნის ავტორმა უდიდესი მღელვარებით გამოივცა ყველა ის ადამიანური გრძნობები და ვნებები, როგორც ზუსტად ორიგინალში; მე ვიტყვი — ზედმიწევნით.

ახლა მაჯამები და ალიტრაციები? ანდა, პოემის ფინალი? . . .

ისლა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ბორის გაპონოვი ამ თარგმანით, გვევლინება ორი უბრწყინვალესი და უშესანიშნავესი ნების — ებრაულისა და ქართველის მიკედნით. იგი არაწვეულებრივ ვირტუოზობას იჩენს პოეტიკაში.

თარგმანი შესრულებულია ებრაული პოეზიისათვის სრულიად უცნობი ლაქსური სახით — ქართული შიპირით, რომელიც ასე ისტატურად შეუღებათა გაპონოვმა ამ ნების თვითმყოფად და თავისთავად ბუნებას. . .

ამ პატარა წერილით, მე არაერთი პრეტენზია არ გამოაჩინა და გავხილა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი, — ეს იყო უბრალოდ, აღტაცება იმ კაცის ნიჭით გამოწვეული, რომლის გენიამაც აალაპარაკა მთელი მსოფლიოს გამოჩენილი სემიტოლოგები და ორიენტალისტები.

ყოველი დიდი ნაწარმოების, უფრო სწორად, შედეგის თარგმნა ერთგვარი მარტვილობაა. ბორის გაპონოვს მრავალი ასეული ლამე შემოათენდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში უთუოდ. ის უდიდესი რულენებითა და მუყაითობით მუშაობდა ამ საქმეზე. ყოველივე ამას მისი ნაჭირახლუღევი მოწოდება. ამ გზარეულმა კაცმა ეს ყოველივე უდიდესი საყვარელი შექმნა.

ხოლო ზოგიერთი პატივცემული „სოლის ინენიერი“, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა იმ გარემოებას, რომ წერად დაჯდომამ ის პირსისხლიანი სამხეგრულოა, რომელიც გულის კოლოსსალურ ტარიგებს მოითხოვს.

მე მახსოვს, როგორი დიდი სიხარულით ამცნო „ლიტერატურულმა გაზეთმა“ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე ამტყვებების ფაქტი სრულიად საქართველოს. მთარგმნელი ბორის გაპონოვი, — იუწყებოდა გაზეთი: თუ არ ცდებდი, ეს იყო 1969 წლის შემოდგომა.

. . . მერე ის იყო. იმ შემოდგომის მზის სხივით შემოვადანა ჩვენ ბორის გაპონოვი — ეს ხალხთა სიყვარულის თავგადადებული ლამდარი, სამუდამო ზამთარმა დისიდურა მის სხინათელ არსებაში და გააქანა იგი შორს. უფსკრულსაკენ, ხოლო ჩვენ — ქართველებსა და ებრაელებს — დავეიტოვა გულმუხრავალ დასტური მეგობრობისა.

დავით აჯიაშვილი.

ისრაელი. დეკემბერი. 1976.

### გიორგი წამათლოს მოხსენება

1975 წლის 21 დეკემბერს, პარიზში, წმიდა ნინოს ეკლესიის ბინაზე, გიორგი წერეთელმა ვაკეთა მოხსენება „დღევანდელი საქართველო თვითგამოცემის სხივებში“.

ამ მოხსენების გაგრძელება შედგება კვირას 29 თებერვალს, სრულ 16 საათზე, იმავე ბინაში.

სამგლომობარო განყოფილება

ჩ მაყვალა ქეიშვილა.

13 სექტემბერს 1975 წელს, ქ. ბუენოს-აირესში. 25 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მაყვალა ლეონიდეს ასული ქეიშვილი.

უნუევემო მშობლებს, ბებიას — ქალბატონ თამარ პაპავას, პაპავა - ქეიშვილების დიდ ოჯახს და ყველა ახლო მეგობრებს, თავისუფლების ტრიბუნა უცხადებს უღრმესად მწუხარე სამძივარს.

† ელენე წერეთელი.

28 ნოემბერს, 1975 წელს, ქ. ბრიუსელში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ელენე (ელა) წერეთელი - ჯავახელი.

განსვენებული დიდი გულმოდგინეობით ემსახურებოდა ქართულ ცივილიზაციის გაცნობის საქმეს ევროპაში. ხშირად ატარებდა სემინარებს ქართულ ხალხურ პოლიფონიაზე; აქვეყნებდა წერილებს ქართულ მუსიკაზე; თანამშრომლობდა კრებულ „ბელი ქართლისაში“, სადაც დამოუკიდებელ თავის სტატიებთან ერთად აღსანიშნავია აწ განსვენებულ პროფ. რენე ლაფონთან ერთად შესრულებული, კლასიკოსების, თუ თანამედროვე ქართველ პოეტების შესანიშნავი თარგმანები ფრანგულად. განსვენებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მას შეეძლო კიდევ ბევრი სამსახურის გაწევა მშობლიურ კულტურისთვის, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა მოაწყვეტა იგი სიკვდილს და საყვარელ საქმესაც.

მის დას ქნ მარის და ყველა მის ქირისუფლებს, თავისუფლების ტრიბუნა უღრმეს მწუხარების გამოძახებულ სამძივარს მოახსენებს.

გარდაიცვალა ნიკოლოზ თოფურაძე

ბრაზილიდან გეატკობინებენ: 6 დეკემბერს 1975 წ. 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიკოლოზ თოფურაძე.

თავისუფლების ტრიბუნა ღრმა მწუხარების გამოძახებულ სამძივარს უცხადებს მის ქირისუფლებს.

15 აგვისტოს, 1975 წელს, ირანში ავტომობილის ავარიში დაიღუპნენ, ჟადე ფატიმი და მისი ქალიშვილი, შეჭერეზადა, (შვილი და შვილიშვილი თამარა კვიტაშვილი —მარანდისა).

თავისუფლების ტრიბუნა, უღრმეს მწუხარების გამოძახებულ სამძივარს მოახსენებს დამწუხარებულ ოჯახს.

გარდაიცვალა ილია ზდანევიჩი.

20 დეკემბერს 1975 წელს, ლველის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს ქართველი საზოგადო მოღვაწე, პოეტ ილია ზდანევიჩი

ქართული კულტურის დიდი მოამაგე, დიდი მკვლევარი ქართული ხელოვნებისა, ილია ზდანევიჩი, თავის მშასთან ერთად პირველი იყო, რომ აღიარა ფიროსმანიშვილის მხატვრული გენია და იმ დროის საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მათვე დააგროვეს მრავალი მისი სურათი და მიიქცია. მათვე დააგროვეს მრავალი მისი სურათი და ამით გადარჩინეს დაკრვევის და განადგურებას.

პირველი დიდი ომის დროს, რუსების მიერ განთავისუფლებულ სამუსულმანო საქართველოში მოწყობილ იქმნა პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიცია და მან ახლო თანამშრომლად წაიყვანა ახალგაზრდა ილია, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ექსპედიციას

თამისუფლების ტრიბუნის ანბარიშვი

(1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე).

1. შოთა ბერეჟიანი —სეგ. ქირაქაძის მოსაგონარად	100,00
2. გიორგი ყვიფანი	50,00
3. ჟანეტ და ტარიელ ულენტი	100,00
4. ექიმი ილია აკელიძე	100,00
5. მართა სტურუასი	30,00
6. ქრისტეფორე იმნაიშვილი	100,00
7. მოგვაური	100,00
8. გიორგი ნაკაშიძე (50 დოლარი)	214,02
9. თინა რეუმან	134,89
10. იონა გუნია	10,00
11. გიორგი ვაჩნაძე	50,00
12. ტიტოვ ჩხაიძე	80,00
13. ირაკლი ბაგრატიონი	321,00
14. გულნარა და დავით ურატაძე	100,00
15. ანონიმი. პარიზიდან	120,00
16. მარტინე მეღაძე	100,00
17. დავით ყურულიშვილი	50,00
18. ირინე ბაგრატიონი	10,00
19. მილი ზურაბიშვილი	50,00
20. კარლო გვარჯალაძე (10 დოლ.)	36,00
21. ვიტალი უგრეხელიძე (3 სტერლინგი)	26,40
22. მიხეილ ხუნდაძე	50,00
23. ვანო ახმეტელი	212,77
30. ოქტომბერს სალაროში დარჩა	847,67
სულ შემოვიდა	2,992,83
სტამბის	627,30
ასოთამწყობს	600,00
საფოსტო	695,30
კონერტები	60,00
ლველის გამოცემლობას	120,00
ტაქსა საფ. მანდატებზე	8,00
თავისუფალ კაზაკების ორგანოს	50,00
მ. ტ. № 9-ზე დანახარჯის ჯამი	2160,60
31-12-75-სათვის სალაროში დარჩა	832,23
და ამ მე-10 ნომრის ხარჯები გადასახდელი.	

მისაღები და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Directeur : G. TSERETELI 193, Avenue du Belvédère, 75019 Paris - Tél. 607.08.14

Imprimerie Coopérative Arpajonnaise